ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

F-171
1964

6

ივნისი

F-171

თბილისი — 1964

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/VII-64 წელი. ანაწყობის ზომა 6×10.
ქაღალდის ზომა 60×84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 5.

ფასი 10 კაპ.

შეკ. 616 ტ. 5000.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა.
თბილისი, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.
Типография Министерства просвещения Грузинской ССР
Тбилиси, ул. Уш. Чхеидзе № 19.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡᲐ

1964 წლის 6 მარტი

საყოველთაო რვაწლიანი განათლების კანონის გატარების საქმეში ზუგდიდის, ლანჩხუთის რაიონების და ქ. ქუთაისის განათლების განყოფილებებისა და პროფკავშირის ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების შესახებ

მოისმინეს რა განათლების განყოფილების გამგეების ამხ. ამხ. ნარმანიას, ვ. ჩიკაშუას, ი. გენძეხაძის, პროფკავშირის რაიონული, საქალაქო კომიტეტების თავმჯდომარეების ამხ. ამხ. ვ. მანიას, გ. ხალვაშის, ა. კოპალაძის მოხსენებები საყოველთაო რვაწლიანი განათლების, კანონის გატარების საქმეში ზუგდიდის, ლანჩხუთის რაიონების და ქ. ქუთაისის განათლების განყოფილებებისა და პროფკავშირის ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების შესახებ, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია

ᲐᲓᲒᲔᲜᲔᲜ

1. მოწონებულ იქნას ზუგდიდის, ლანჩხუთის რაიონების და ქ. ქუთაისის განათლების განყოფილებების და პროფკავშირის ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება საყოველთაო რვაწლიანი განათლების კანონის გატარების საქმეში (ცნობა თან ერთვის).

2. რჩევა მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებს, პროფკავშირის ყველა საქალაქო, რაიონულ კომიტეტს გამოიყენონ ეს გამოცდილება თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში.

პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი **ლ. თვაური**

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობა

საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელებაზე ზუგდიდის, ლანჩხუთის რაიონების და ქ. ქუთაისის განათლების განყოფილებებისა და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების შესახებ

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე (1953—1963 წლები) ზუგდიდის, ლანჩხუთის რაიონების და ქ. ქუთაისის სახალხო განათლების ორგანოების, სკოლის პედაგოგიური კოლექტივების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, აგრეთვე ფართო საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობით თვალსაჩინო მუშაობაა ჩატარებული საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის გასატარებლად.

თუ 1958—1959 სასწავლო წელს ზუგდიდის რაიონში I—VII კლასებში არასაპატიო მიზეზით არ სწავლობდა 92 ბავშვი, 1963—1864 ასწავლო წელს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ასაკის ყველა ბავშვი ჩაბმულია სწავლებაში, I—VIII კლასებიდან არასაპატიო მიზეზით მოსწავლეთა განთესვას ადგილი არა აქვს;

საყოველთაო რვაწლიანი განათლების გატარების საქმეში სერიოზული ყურადღება ექცევა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ფაბრიკებისა და ქარხნების მონაწილეობას სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო ბაგა-ბაღებისა და გახანგრძლივებული დღის ჯგუფების სასწავლო-მატერიალური ბაზით უზრუნველყოფის, ბავშვთა კვების, ტანისამოსითა და სასწავლო ნივთებით მომარაგების საქმეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმოების ხარჯზე.

ზუგდიდის რაიონში მწყობრში ჩადგა ახალი სკოლები, საგრძნობლად გაფართოვდა არსებული სკოლების სასარგებლო ფართობი, რემონტი გაუკეთდა ძველ სასკოლო შენობებს, წელს ერთ-ცვლიან მეცადინეობაზე დამატებით 12 სკოლა გადავიდა, ამასთანავე გაუმჯობესდა სწავლების ხარისხი, სასწავლო კაბინეტები შეივსო ხელსაწყო-იარაღებით, რეაქტივებითა და პრეპარატებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების სახსრებით და საზოგადოებრიობის შრომითი მონაწილეობით ბოლო ექვსი წლის (1961—1963) განმავლობაში სკოლებისათვის აგებულ შენობათა საერთო ღირებულებამ 3 მილიონ 356 ათას მანეთს გადააჭარბა, ხოლო იმავე პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით შესრულებულ იქნა 1 მილიონ 200 ათასი მანეთის სამუშაო. შეძენილ იქნა კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სახელოსნოებისათვის საჭირო იარაღ-ხელსაწყოები, ინვენტარი, მოწყობილობა, ჩარხები და დანადგარები, შემოზიდულ იქნა 4 ათასი ცალი მერხი.

მარტო 1962 წელს კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და ფაბრიკა-ქარხნებმა ააშენეს და მიაშენეს სკოლებს 155 საკლასო ოთახი 6500 კვ. მეტრი ფართით, ხოლო 1963 წელს 157 ოთახი 7596 კ/მ ფართით.

სკოლებისადმი დახმარების საქმეში განსაკუთრებით აღსანიშნავია ზუგდიდის რაიონის ინგირის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე თ. ლოლუა), რომელმაც ინგირის სკოლა-ინტერნატს აუშენა სამეურნეო კორპუსი, კახათის კოლმეურნეობამ საბავშვო ბაღისათვის ააშენა ტიპიური სასკოლო შენობა. მშრომელთა და უფროსი კლასის მოსწავლე ახალგაზრდობის აქტიური შრომითი მონაწილეობით დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ინგირის სკოლა-ინტერნატის საძინებელი კორპუსი, ახალი ხიბულის, ქვემო ქვალონის და დარჩელის საშუალო სკოლების ტიპიური შენობების, ძველი ხიბულისა და საჯიჯაოს საშუალო სკოლებისათვის კაპიტალური სასწავლო სახელოსნოები.

საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის უზრუნველსაყოფად გაფართოებულ იქნა სასკოლო ქსელი, გაიხსნა ახალი დაწყებითი სკოლები, ბევრი დაწყებითი სკოლა გადაკეთდა რვაწლიან სკოლებად.

დირექციის, პროფკავშირული ორგანიზაციებისა და მშობელთა კომიტეტების ქმედითი დახმარების შედეგად დაუბრუნდა სკოლებს ადრე განთესილი 32 ბავშვი.

დიდი მუშაობა ტარდება მეორეწლიან ბავშვთა გამოსასწორებლად. მიმდინარე სასწავლო წელს მეორე მეოთხედში 685 მეორეწლიანიდან ასწრებდა 573 ბავშვი.

საყოველთაო განათლების საქმეს დიდად შეუწყო ხელი სკოლებში გახანგრძლივებული დღის ჯგუფების, სასადილოების, ბუფეტების გახსნამ და ხელმოკლე ბავშვთათვის უფასო კვების ორგანიზაციამ, ტანსაცმლით და სასწავლო ნივთებით მომარაგებამ.

ამ მიზნისათვის გასულ წელს ბიუჯეტის გარეშე დაიხარჯა 9000 მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყოველთაო რვაწლიანი განათლების გასატარებლად ყველა პირობაა შექმნილი ლანჩხუთის რაიონში. აქ ყოველწლიურად ფართოვდება და მტკიცდება სკოლების მატერიალური ბაზა.

მამათის, აცანის, აკეთის, ლანჩხუთის, ლესის, ლაშისღელის, შრომის, ჩოჩხათის და ნინოშვილის კოლმეურნეობებმა სკოლებს აუშენეს სამი ახალი შენობა, არსებულ სასკოლო შენობებს მიუშენეს და დააშენეს 46 ოთახი 2244 კვ. მეტრი ფართობით. ამ კოლმეურნეობებმა 1963 წელს ხუთი სასკოლო შენობა 17 ოთახით გააფართოვეს, დაამთავრეს და საექსპლოტაციოდ გადასცეს სკოლა-ინტერნატის შენობა სასწავლო, სამეურნეო და სასადილო კორპუსებით, დაამთავრეს ჩოჩხათის სამსართულიანი სკოლის მშენებლობა, დაწყებულია და 1964 წელს დამთავრდება აცანის, აკეთის საშუალო და ომვარეთის დაწყებითი სკოლების მშენებლობა.

მატერიალური ბაზის განმტკიცების შედეგად რაიონის 58 სკოლიდან 49 სკოლაში მეცადინეობა ერთცვლად მიმდინარეობს და ყველა სკოლა უზრუნველყოფილია სათანადოდ მოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიებით.

ამ რაიონში საყოველთაო სავალდებულო სწავლების საკითხებს ხშირად იხილავენ პარტიული კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სხდომებზე. აგრეთვე სახალხო განათლების საბჭოს, პროფკავშირის რაიკომის, ადგილკომის, პედაგოგიური საბჭოსა და მშობელთა კომიტეტის სხდომებზე. სასკოლო ასაკის ბავშვები აყავთ აღრიცხვაზე სასწავლო წლის დაწყებამდე და ყველა ზომებს იღებენ მათ სკოლებში ჩასაბმელად და სკოლის დამთავრებამდე შესანარჩუნებლად. მაგალითად, 1956-1957 სასწავლო წელს პირველ კლასში მიღებულ მოსწავლეთა კონტინგენტი მთლიანად შენარჩუნებულია.

მნიშვნელოვანი მუშაობა ტარდება მეორეწლიან მოსწავლეებთან. მიმდინარე წლის მეორე მეოთხედში 329 მეორეწლიანი მოსწავლიდან ვერ ასწრებდა მხოლოდ 80.

1963 წელს ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოვლინებულ მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ 8 ბავშვიდან 4-მოწყობილ იქნა საბავშო სახლებში, 4-ს დაენიშნა ფულადი დახმარება და ჩაირიცხა სკოლებში.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა მოძრაობის ზუსტ აღრიცხვას, მოწესრიგებულია მოსწავლეთა პირადი საქ-

მეები. სკოლებიდან დაშორებულ მანძილზე მცხოვრებ მოსწავლეთა გადაყვან-გადმოყვანა ტრანსპორტით ხდება ორგანიზებულად.

საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების "კანონის" გატარების საქმეში კარგი მუშაობით გამოირჩევა სუფსის, ლესის, ჩიბათის, აცანის და ზოგიერთი სხვა სკოლის პროფკავშირული ორგანიზაციები, აგრეთვე ლანჩხუთის მეორე, აცანის, სუფსის საშუალო, ახალსოფლის, ლანჩხუთის, ნინოშვილის, წყალწმინდის რვაწლიანი სკოლების მშობელთა კომიტეტები, რომლებმაც ეს საკითხი საზოგადოების ფართო მასების საქმედ აქციეს.

ჩიბათის საშუალო სკოლის საწარმოო თათბირმა 1963 წლის 20 ოქტომბერს მოისმინა სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის მოხსენება საყოველთაო 8-წლიანი სწავლების კანონის გატარების მდგომარეობის შესახებ. მიღებული დადგენილების თანახმად ჩატარდა მიკროორაიონის საკონტროლო შემოწმება და სხვადასხვა დროს სკოლიდან გასული მოსწავლეები დაბრუნებულ იქნენ სკოლაში.

ნინოშვილის 8-წლიანი სკოლის მშობელთა კომიტეტის 1963 წლის 25 ოქტომბრის ოქმი № 2 დადგენილებით ამხანაგური სასამართლო მოუწყეს მერვე კლასის მოსწავლე ი. მარგალიტაძის მშობელს, რომელიც არ გზავნიდა შვილს სკოლაში. მშობელმა მარგალიტაძემ იგრძნო თავისი დანაშაული და დღეს მოსწავლე მარგალიტაძე ოთხესა და ხუთებზე სწავლობს. ამგვარი და სხვა ღონისძიებების გატარების შედეგად მიმდინარე სასწავლო წელს რაიონში სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი ჩაბმულია სწავლებაში.

ადგილობრივი პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობითა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების და შეფი საწარმოების მონაწილეობის შედეგად ყოველწლიურად უმჯობესდება ქ. ქუთაისის სკოლების მატერიალური ბაზა. ასე, მაგალითად, 1962/63 სასწავლო წელს სკოლის ახალ მშენებლობაზე და მიშენება-დაშენებაზე დახარჯეს 547. 370 მან. აგრეთვე მოსწავლეთა მშობელთა შრომითი მონაწილეობით შესრულებულ იქნა 42112 მან. ღირებული სამუშაოები. ბიუჯეტის სახსრების ჩათვლით სკოლის მატერიალური ბაზის განმტკიცებაზე ათვისებულ იქნა სულ 1.255. 372 მანეთი.

1963/64 სასწავლო წელს საზოგადოებრივი თანხებით ახალ მშენებლობაზე დაიხარჯა 140. 000 მანეთი, ხოლო სხვადასხვა ორგანიზაციებიდან გადმოცემულ იქნა 316780 მან. ღირებული სასკოლო შენობები, საწარმოო ბაზის მოწყობაზე დახარჯეს 93. 127 მანეთი.

სულ საზოგადოებრივი ძალებით სკოლებზე დაიხარჯა 797552 მანეთი, ხოლო ბიუჯეტის თანხები 602000 მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში სკოლებს შეემატა 4 ახალი სასკოლო შენობა 2200 მოსწავლე ადგილით, ხოლო მიშენებით სამუშაოების წარმოებით ერთი ორად გაფართოვდა სკოლის შენობების მოცულობა, რის შედეგადაც სკოლების 70 პროცენტი გადაყვანილია ერთცვლიან მეცადინეობაზე.

საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების განხორციელების საქმეს დიდად უწყობს ხელს გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოწყობა. ამ მიზნით ქალაქის 23 სკოლასთან შექმნილ 33 გახანგრძლივებული დღის ჯგუფში 990 ბავშვია ჩაბმული. გასულ წელს პროფკავშირის საქალაქო კომიტეტმა ორჯერ შეისწავლა და განიხილა აღნიშნული ჯგუფების მუშაობა და გამოვლინებულ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად დასახა საჭირო ღონისძიებები.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების განუხრელად გატარების უზრუნველსაყოფად სისტემატურად ტარდება სკოლის მიკროორაიონში სასკოლო ასაკის ბავშვთა აღწერა, და აღწერის სისწორის გადამოწმება სასწავლო წლის დაწყებამდე. ამ საქმეში ჩაბმულია საქალაქო საბჭოს დეპუტატები, საუბნო-სამეთვალყურეო კომისიები, სახლმმართველობები, პროფაქტივი, რომელთა მონაწილეობით ხშირად ეწყობა რეიდები.

თითოეული სკოლის მიკროორაიონში შექმნილია საგუშაგოები რომლებიც სისტემატურად ატარებენ უბნის შემოწმებას.

1963-1964 სასწავლო წლის გეგმით ქ. ქუთაისის სკოლებში უნდა ჩაბმულიყო 22719 მოსწავლე, ფაქტიურად გამოცხადდა 22943 ე. ი. 236 ბავშვით მეტი. აქედან 166 I—VIII კლასში. საერთოდ ყოველწლიურად გადაჭარბებით სრულდება საყოველთაო სწავლების სახელმწიფო გეგმები. ძირითადად ეს იმის შედეგია, რომ ქ. ქუთაისის ინდუსტრიული პოტენციის ზრდასთან ერთად იზრდება მოსახლეობაც და ყოველწლიურად ბავშვთა რიცხვიც შესაბამისად მატულობს.

უმიზეზოდ მოსწავლეთა განთესვის შემთხვევებს უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ადგილი არ ჰქონია.

შემოღებულია ძნელად აღსაზრდელ ბავშვებზე კომუნისტური შრომის ბრიგადების შეფობა. მაგალითად, ლიტოპონის ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადამ სისტემატური კავშირი დაამყარა 22-ე საშუალო სკოლასთან და მისი ზეგავლენით სკოლას შეუნარ-

ჩუნა განთესვის გზაზე მდგომი მოსწავლეები კუბ-ლი და ძ-ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბრეშუმის კომბინატის კომუნისტური შრომის ბრიგადის (ხელმძ. გურამ ბურჯანაძე) მიერ მიღებული ზომების შედეგად გამოსწორდა მე-12 სკოლის V კლასის მოსწავლე ბ. დ-ძე, რომელიც ოროსანი იყო და ხშირად აცდენდა გაკვეთილებს.

ავტოქარხნის კოლექტივი სისტემატურად სწავლობს 30-ე საშუალო სკოლის მოსწავლეთა გაცდენებს, წარმატებას, და ქარხნის მუშა მოსამსახურეთა კრებაზე იხილავს მათი შვილების საკითხს და ღებულობს საჭირო ზომებს.

სკოლების ინსპექტირების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებას, უბნების მიხედვით ბავშვთა და მოზარდთა სიების, საკლასო ჟურნალების სიზუსტის შემოწმებას, მოსწავლეთა მოძრაობის მიზეზების შესწავლას, აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს და იქვე ღებულობენ ზომებს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ასე, მაგალითად, წელს ინსპექტირების პერიოდში უზრუნველყოფილ იქნა მე-15 სკოლაში სკოლასჩამოშორებულ ორი მოსწავლის ე. და ნ. ტ-ის სკოლაში დაბრუნება.

1963 წელს ბიუჯეტს ზევით საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდი 15433 მან. რაოდენობით მოხმარდა ხელმოკლე მოსწავლეთა ტანსაცმელის, ფეხსაცმელის, სასწავლო ნივთების შეძენასა და კვებას. 1964 წელს კი ეს ფონდი შეადგენს 17845 მანეთს. ფონდი შექმნილია მოსწავლეთა მიერ საწარმოებში შრომითი მონაწილეობისა და შეფორგანიზაციების დახმარებით.

აღსანიშნავია, რომ ქ. ქუთაისის მეცხრე საშუალო სკოლამ გასული სასწავლო წელი დაამთავრა მეორეწლიანობის გარეშე და ახლა აბრძვის კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელწოდების მოსაპოვებლად.

პროფკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და მასწავლებლის სახლის მიერ 1964 წლის 15 იანვარს საქალაქო საწარმოო თათბირზე განხილულ იქნა მე-6 საშუალო სკოლის ადგილკომის თავმჯდომარის ამხ. ა. მაჭავარიანის მოხსენება თემაზე, "რა ღონისძიებები ტარდება საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელებისათვის".

სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის აქტუალური საკითხები ხშირად იხილება სახალხო განათლების საბჭოსა და პროფკავშირის საქალაქო კომიტეტის პრეზიდიუმისა და პლენუმის სხდომებზე.

მასწავლებლის სახლთან შექმნილია მშობელთა უნივერსიტეტი, რომელმაც მეცნიერ მუშაკთა და მოწინავე მასწავლებელთა ძალებით ჩაატარა 32 ლექცია-მოხსენება ბავშვთა აღზრდის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე.

ცნობა მომზადებულია განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის საწარმოო-მასობრივი მუშაობის განყოფილების მიერ.

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა

1964 წლის 10 აპრილი

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორების არჩევის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორების არჩევნების დროებითი დებულება დამტკიცდეს (თან ერთვის).

2. დირექტორების არჩევნები 1964 და 1965 წლებში, საცდელი წესით, ჩატარდეს ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 2-3 სკოლაში.

3. დაევალოს ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის განათლების განყოფილებათა გამგეებს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას, პროფკავშირის შესაბამისი კომიტეტების თავმჯდომარეებს მტკიცედ იხელმძღვანელონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორების არჩევნების დროებითი დებულებით.

4. დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. დ. ჯავახია) და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საწარმოო მასობრივი მუშაობის განყოფილებას (ამხ. მ. ლომჯარია) დახმარება გაუწიონ განათლების ადგილობრივ ორგანოებსა და პროფკავშირულ კომიტეტებს სკოლის დირექტორის არჩევნების ჩატარებაში და შედეგების შესახებ მოახსენონ კოლეგიასა და პრეზიდიუმს 1965 წლის ნოემბერ-დეკემბერში.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავ—რე

ლ. მაღლაფერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროებითი დებულება

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორის არჩევნების შესახებ

სკკპ პროგრამითა და სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებულია, რომ კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში სოციალისტური სახელმწიფო განვითარების ძირითად მიმართულებას უნდა შეადგენდეს სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარება და სრულყოფა, ყველა მოქალაქის აქტიური მონაწილეობა სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში, სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესება და მის საქმიანობაში სახალხო კონტროლის გაძლიერება.

სახელმწიფო მმართველობაში დემოკრატიული საწყისების შემდგომ განვითარებასთან ერთად არჩევის პრინციპი თანდათანობით უნდა გავრცელდეს სკოლისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიმართაც.

მმართველობის შემდგომი დემოკრატიზაციის მიზნით სახალხო განათლების ორგანოებში სკოლის დირექტორების არჩევნების შემოღებამ უნდა გაზარდოს მათი პასუხისმგებლობა სწავლების ხარისხისა და აღმზრდელობითი მუშაობის ამაღლებისათვის, ხელი შეუწყოს პედაგოგიური კოლექტივების მუშაობაში ერთმმართველობისა და კოლეგიალობის ერთმანეთთან სწორად შეხამებას.

სკოლის დირექტორების არჩევნების ჩატარებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი დებულებებით:

1. კანდიდატთა წამოყენების წესი

1. სკოლის დირექტორის დანამდებობაზე კანდიდატად შეიძლება წამოყენებულ იქნეს მოწინავე მასწავლებელი, სასწავლო ნაწილის გამგე, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და სახალხო განათლების დარგის მუშაკები, რომლებსაც აქვთ უმაღლესი პედაგოგიური განათლება, პე-

დაგოგიური მუშაობის სტაჟი არანაკლებ 3 წლისა და ორგანიზაციული მუშაობის უნარი.

2. სკოლის დირექტორის თანამდებობაზე კანდიდატთა წამოყენების უფლებით სარგებლობენ პარტიული, პროფკავშირული, აგრეთვე სასკოლო კომკავშირული (მასწავლებელთა) ორგანიზაციები და სათანადო სახალხო განათლების განყოფილებები.

3. სკოლის დირექტორების არჩევნების შესახებ განცხადებას აქვეყნებენ სათანადო სახალხო განათლების განყოფილებები და პროფკავშირული ორგანიზაციები არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, ხოლო კანდიდატების წამოყენების შესახებ—ორი კვირით ადრე.

4. სია დირექტორის თანამდებობაზე წამოყენებული კანდიდატებისა, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს კენჭისყრაზე, მათ მიერ დაკავებული თანამდებობის, განათლების, აგრეთვე რეკომენდაციის მიმცემი ორგანიზაციის ჩვენებით გამოიკვრება სკოლაში 10 დღით ადრე არჩევნებამდე.

დოკუმენტაციის გაფორმებას, რაც დაკავშირებულია დირექტორის არჩევნებთან, ახდენს სათანადო სახალხო განათლების განყოფილება.

II. კანდიდატთა განხილვა და არჩევნების წესი

1. სკოლის დირექტორის არჩევა ტარდება პედაგოგიური კოლექტივის კრებაზე დახურული (ფარული) კენჭისყრით, რომელსაც უნდა ესწრებოდეს ამ კოლექტივის არანაკლებ სამი მეოთხედისა.

სკოლის დირექტორი აირჩევა 3 წლის ვადით.

2. კრების ხელმძღვანელობისათვის ღია კენჭისყრით აირჩევა პრეზიდიუმი, რომლის რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს თვით კრება.

პრეზიდიუმის შემადგენლობაში შეიძლება არჩეულ იქნან პედაგოგიური კოლექტივის წევრები, აგრეთვე შეფი საწარმოს, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, დაწესებულებების, ზემდგომი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სახალხო განათლების ორგანოების წარმომადგენლები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: კრების მონაწილენი, რომლებიც აღნიშნული სკოლის პედაგოგიური კოლექტივის შემადგენლობაში არ შედიან, სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობენ.

3. კრების მონაწილენი ყველა წამოყენებულ კანდიდატს იხილავენ პერსონალურად იმ რიგის მიხედვით, როგორითაც შეტანი-

ლი არიან ისინი სიაში. კრების ყველა მონაწილეს აქვს განუსაზღვრელი უფლება წარმოყენებული კანდიდატების აცილებისა და ახალის დასახელების მხრივ. კანდიდატები, რომელთა მიმართ აცილება არ შემოსულა, შეიტანებიან სიაში ფარული კენჭისყრისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. კენჭისყრის წესი

1. დახურული (ფარული) კენჭისყრის ჩატარებისა და შედეგების გამოსარკვევად კრება ღია კენჭისყრით ირჩევს დამთვლელ კომისიას შემადგენლობით არანაკლებ 3 კაცისა.

კენჭისყრის წინ დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე განუმარტავს კრების მონაწილეებს დახურული (ფარული) კენჭისყრის წესებს.

დამთვლელი კომისია ფარული კენჭისყრის დაწყებამდე ლუქავს საარჩევნო ყუთს, ამზადებს ბიულეტენებს (სიებს) ფარული კენჭისყრისათვის და თითო ცალს აძლევს აღნიშნული სკოლის პედაგოგიური კოლექტივის თითოეულ წევრს.

2. დახურული (ფარული) კენჭისყრის დროს პედაგოგიური კოლექტივის ყოველ წევრს უფლება აქვს ბიულეტენში წაშალოს ცალკეული კანდიდატი ანდა დაუმატოს ახალი.

3. კენჭისყრისა და ხმების დათვლის შემდეგ დამთვლელი კომისია ადგენს ოქმს, რომელშიც შეაქვს კენჭისყრის შედეგები, აღნიშნავს ხმების რაოდენობას „მომხრეთა“ და „წინააღმდეგთა“ ჩვენებით თითოეულ კანდიდატზე.

ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. იმ შენობაში, სადაც წარმოებს ხმებით დათვლა, არავის არ შეუძლია ყოფნა, გარდა დამთვლელი კომისიის წევრებისა.

დამთვლელი კომისია კრების მონაწილეებს მოახსენებს კენჭისყრის შედეგებს. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელმაც მიიღო ხმების უმრავლესობა, მაგრამ კენჭისყრაში მონაწილეთა არანაკლებ სამი მეოთხედისა.

იმ შემთხვევაში, როდესაც ფარული კენჭისყრის შედეგად ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4, არჩევნები ხელახლად ჩატარდება.

5. არჩეული დირექტორის ბრძანებით დამტკიცება წარმოებს საათანადო სახალხო განათლების ორგანოს მიერ (დადგენილი ნომენკლატურის მიხედვით) არჩევიდან არა უგვიანეს ათი დღისა.

დირექტორის უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ

ტარდება სკოლის პედაგოგიური კოლექტივის საანგარიშო-საარჩევნო კრება, სადაც მოსმენილი იქნება დირექტორის საანგარიშო მოხსენება და ფარული კენჭისყრით გადაწყდება საკითხი დირექტორის ახალი ვადით დატოვებისა ან სკოლის ახალი დირექტორის არჩევის შესახებ.

IV. ვადამდე არჩევნები

სკოლის დირექტორის ვადამდე არჩევნები შეიძლება ჩატარდეს:

ა) სკოლის პედაგოგიური კოლექტივის მოთხოვნით იმ შემთხვევაში, თუ საერთო კრებაზე ღია კენჭისყრით ვადაზე ადრე არჩევნებს ხმას მისცემს პედაგოგიური კოლექტივის არანაკლებ 2/3-ისა.

ბ) საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა ან სახალხო განათლების ორგანოების მოთხოვნით, თუ სკოლის დირექტორი ვერ უზრუნველყოფს სათანადო ხელმძღვანელობასა და კონტროლს სკოლის საქმიანობაზე, ანდა ჩაიდინა დანაშაულებრივი მოქმედება, რაც შეუთავსებელია მის თანამდებობაზე შემდგომში დატოვებასთან.

ასეთ შემთხვევაში სათანადო სახალხო განათლების განყოფილება თანამდებობიდან გადააყენებს სკოლის დირექტორს და პროფკავშირის კომიტეტთან ერთად ნიშნავს ვადამდე ადრე არჩევნებს, რომელიც ჩატარდება ამ დებულების საფუძველზე.

V. არჩევნების გაუქმება

სკოლის დირექტორის არჩევნების დებულების დარღვევის შემთხვევაში, მაგრამ არაუგვიანეს 10 დღისა არჩევნების ჩატარებიდან, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს, სათანადო პროფკავშირულ ორგანოებთან შეთანხმებით, შეუძლიათ გააუქმონ სკოლის პედაგოგიური კოლექტივის გადაწყვეტილება სკოლის დირექტორის არჩევის შესახებ.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

განათლების, უმაღლესი სკოლისა სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ლ. მაღლაფერიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წ. 11 აპრილის ბრძანება № 412

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების მოსწავლე ავიამოდელისტთა XXXIII რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრების ჩატარების შესახებ

მოსწავლეთა შორის ავიასამოდელო სპორტის განვითარების მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. 1964 წლის 26-დან 30 ივნისამდე ჩატარდეს მოსწავლე-ავიამოდელისტთა XXXIII რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება.

2. შეჯიბრების დებულება და პროგრამა დამტკიცდეს (თან ერთვის).

3. შეჯიბრება ჩატარდეს ნორჩ-ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბაზაზე.

4. შეჯიბრების ორგანიზებულად ჩატარებისათვის შეიქმნას საორგანიზაციო კომიტეტი ი. გ. ბეროზაშვილის (თავ-რე), ბ. ფერაძის (თავ-რის მოადგილე), ა. ორახელაშვილის, გ. ეპიტაშვილის, ბ. ჟუიკოვის გ. გაბრიჩიძის, რ. შმაკოვის შემადგენლობით.

5. საორგანიზაციო კომიტეტმა შეჯიბრების დამთავრებიდან ერთი კვირის განმავლობაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ანგარიში.

6. სკოლების სამმართველომ თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცირკულარად

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებს

„მოსწავლე-ავიამოდელისტთა XXXIII რესპუბლიკური პირადგუნდური შეჯიბრების ჩატარების შესახებ“ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 11 აპრილის № 413 ბრძანების შესრულების უზრუნველსაყოფად საჭიროა:

1. შეჯიბრების დებულება დაიყვანოთ სკოლებამდე და სკოლის გარეშე დაწესებულებამდე.
2. შეჯიბრებები ჩაატაროთ ზუსტად დებულების შესაბამისად.
3. სათანადო მომზადების შემდეგ შეარჩიოთ კანდიდატები რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.
4. ა/ წლის 12 ივნისამდე საორგანიზაციო კომიტეტს წარუდგინოთ განაცხადები შეჯიბრებაში მონაწილეობის შესახებ.

ავიამოდელისტთა რესპუბლიკური შეჯიბრების ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტის თავ-რის

მოადგილი **ბ. ფერაძე**

16 აპრილი, 1964 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა

1964 წლის 16 აპრილი

სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და ბაგა-ბაღებში, აგრეთვე სხვა საბავშვო დაწესებულებებსა და განათლების ორგანოებში საწარმოო თათბირების მუშაობის შესახებ

1. სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და ბაგა-ბაღებში, სხვა საბავშვო დაწესებულებებსა და განათლების ორგანოებში საწარმოო თათბირების მუშაობის წარმოდგენილი დებულება დამტკიცდეს (თან ერთვის).

2. დაევალოს ყველა სკოლის, სკოლა-ინტერნატის, საბავშვო სახლის, ბაგა-ბაღის და სხვა საბავშვო დაწესებულების დირექტორს, გამგეს, პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარეს და პროფორგანიზატორს მტკიცედ იხელმძღვანელოს საწარმოო თათბირის აღნიშნული დებულებით.

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
ლ. მაღლაფერიძე

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ 1964 წლის 10 აპრილს (ოქმი № 16)

ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ, ᲡᲙᲝᲚᲐ-ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲢᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲑᲐ-ᲑᲐᲚᲔᲑᲨᲘ, ᲐᲑᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სკოლის შესახებ კანონის შესრულებაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის საწარმოო თათბირებს. საწარმოო თათბირმა უნდა განამტკიცოს მასწავლებლებში და სხვა მუშაკებში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, განავითაროს მათი შემოქმედებითი ინიციატივა, ხელი შეუწყოს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განუხრელად გატარებას, სასწავლო პროგრამების მაღალხარისხოვნად შესრულებას, მუშაკთა პროფესიული კვალიფიკაციისა და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას. საწარმოო თათბირი საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, კოლექტივის შემოქმედებითი აქტივობის ამაღლების ყველაზე უფრო ქმედითი ფორმაა და თავის მუშაობას უქვემდებარებს სკოლის ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ კანონის გასატარებლად მაღალნაყოფიერი შრომისათვის პირობების შექმნის და მმართველობის მეთოდების სრულყოფის ამოცანებს.

1. საწარმოო თათბირის ორგანიზაცია

მიმდინარე მუშაობის შესასრულებლად საწარმოო თათბირის ხელმძღვანელად პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტი თავის

შემადგენლობიდან გამოყოფს ერთ-ერთ წევრს, ხოლო ადმინისტრაცია მუდმივ მდივანს საწარმოო თათბირზე მიღებულ წინადადებათა აღრიცხვისა და ოქმების გაფორმებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოო თათბირის ხელმძღვანელი განსაზღვრავს დღის წესრიგს და ამზადებს საწარმოო თათბირის სხდომას, გააცნობს თათბირის წევრებს სამუშაო გეგმას, აწყობს კონტროლს მიღებულ დადგენილებათა და წინადადებათა შესრულებისადმი.

II. საწარმოო თათბირის მუშაობის შინაარსი და უფლებები

საწარმოო თათბირი:

წარმართავს მთელ თავის მუშაობას სადირექტივო ორგანოების დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის კოლექტივის დასარაზმავად, სასწავლო-სააღმზრდელო გეგმების შესრულებისათვის, ახალი სასწავლო წლისათვის საუკეთესოდ მოსამზადებლად სოციალისტური შეჯიბრების გასაშლელად, შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით ამაღლებისათვის, საუკეთესო მუშაობის გამოცდილების დასანერგავად, აკადემიური მოსწრების ასამაღლებლად, მონაწილეობს სამუშაო გეგმების დამუშავებასა და განხილვაში; ისმენს სკოლის და სხვა საბავშვო დაწესებულებების ხელმძღვანელების მოხსენებებს სასწავლო-სააღმზრდელო და ადმინისტრაციულ-სამეურნეო მუშაობის მდგომარეობის შესახებ, კლასის ხელმძღვანელთა მოხსენებებს მოსწავლეთა იდეური აღზრდის დარგში ჩატარებული მუშაობის შესახებ, მათი კავშირის შესახებ მშობლებთან და სასკოლო ორგანიზაციებთან; ისმენს ინფორმაციებს სხვა სკოლების მუშაობის შესახებ საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით. იხილავს საყოველთაო სავალდებულო სწავლების, საწარმოო სწავლების, პოლიტექნიკური განათლების, სახელმწიფო პროგრამების შესრულების, ცოდნის ხარისხის, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების გავრცელების, შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის, კადრების განაწილება-გამოყენების, მათი კვალიფიკაციის ამაღლების, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის, სასწავლო მატერიალური ბაზის განმტკიცების, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო, ახალი მშენებლობისა, კაპიტალური და მიმდინარე რემონტისათვის გამოყოფილი სახსრების ეფექტურად გამოყენების, სკოლების კოლექტივების კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში ჩაბმისა და სხვა საკითხებს.

სკოლის, სკოლა-ინტერნატის, საბავშვო სახლის, ბაგა-ბაღის, და სხვა საბავშვო დაწესებულების, აგრეთვე განათლების ორგანო-

თა ხელმძღვანელები მოვალენი არიან ყოველი ღონისძიებით ხელი შეუწყონ საწარმოო თათბირის წარმატებით მუშაობას, რეგულარულად მოახდინონ წინადადებებზე, აღმოფხვრან ნაკლოვანებები, საწარმოო თათბირზე განსახილველი საკითხების ყოველმხრივი და ღრმად შესწავლის მიზნით დაეხმარონ პროფესიულ ორგანიზაციებს თათბირის მომზადებაში, გააცნონ საქმის ფაქტიური მდგომარეობა, მიაწოდონ მათ საცნობარო მასალები.

III. საწარმოო თათბრის მუშაობის წესი

საწარმოო თათბირის მუშაობას პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტი, პროფორგანიზატორი, ხელმძღვანელობს ნახევარი სასწავლო წლისათვის შედგენილი სამუშაო გეგმის მიხედვით; საწარმოო თათბირი მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არა ნაკლებ ორისა სასწავლო წლის ნახევარში. საჭიროების მიხედვით საწარმოო თათბირი შეიძლება ჩატარდეს ცალკეულ ჯგუფებში—დაწყებითი კლასების მასწავლებლებთან, ტექნიკურ მუშაკებთან და ა. შ.

საწარმოო თათბირის მოწვევის დრო, ადგილი და დღის წესრიგი უნდა ეცნობოს მუშაკებს ხუთი დღით ადრე თათბირის მოწვევამდე. საწარმოო თათბირზე იხილება სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხები, რომლებიც შემოაქვთ პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტს, პროფორგანიზატორს, სკოლის, სკოლა-ინტერნატის, საბავშვო სახლის, ბაგა-ბაღის და სხვა საბავშვო დაწესებულებებისა და განათლების ორგანოების ხელმძღვანელებს, მათ მოადგილეებს და სხვა მუშაკებს. საწარმოო თათბირის ყოველი სხდომა უნდა იწყებოდეს ინფორმაციით წინა საწარმოო თათბირზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ. საწარმოო თათბირის გადაწყვეტილება მიიღება თათბირის წევრთა ხმების უმრავლესობით, ამასთან სხდომას უნდა ესწრებოდეს საწარმოო თათბირის წევრთა არა ნაკლებ ორი მესამედისა.

ადმინისტრაცია ვალდებულია საწარმოო თათბირის მიერ მიღებული წინადადებები სამი დღის ვადაში განიხილოს. იმ წინადადებათა შესრულება, რომლებიც კანონს არ ეწინააღმდეგებიან, სავალდებულოა.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაცია საწარმოო თათბირის გადაწყვეტილებებს არ ეთანხმება, მას უფლება აქვს გაასაჩივროს იგი პროფკავშირის რაიონულ, საქალაქო კომიტეტ-

ში და სახალხო განათლების განყოფილებაში სამი დღის ვადაში.

საწარმოო თათბირის სამუშაო გეგმები წინასწარ შეთანხმებული ადმინისტრაციასთან, საწარმოო თათბირზე განხილვისა და ადგილკომის მიერ დამტკიცების შემდეგ შეიტანება დაწესებულების სამუშაო გეგმაში და გამოიკვრება თვალსაჩინო ადგილას ყველა მუშაკის გასაცნობად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა

1964 წლის 16 აპრილი

ახალი—1964—1965 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების მომზადების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების სასწავლო მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელებისათვის პირობების შექმნის საქმეში სკოლებს დიდი დახმარება გაუწიეს კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და შეფორგანიზაციებმა, რომელთა სახსრებითა და მონაწილეობით გასულ წელს რესპუბლიკაში აშენდა 49 სკოლის და 2 ბაგა-ბაღის შენობა. არსებული სკოლებისა და ბაგა-ბაღის შენობებს მიშენდა და დაშენდა 435 ოთახი და ბალანსიდან ბალანსზე გადაეცა 222 ოთახი.

1963—1964 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების სანიმუშოდ მომზადების საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი აფხაზეთის ასსრ, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, ტყიბულის, რუსთავის, ზუგდიდის; ლანჩხუთის, სიღნაღის, მახარაძის, გურჯაანის, ქობულეთის, ცხაკაიას, სამტრედიის, წყალტუბოს და სხვა რაიონების კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და წარმოება-დაწესებულებებმა.

ამასთან, 1963—1964 სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში ადგილი ჰქონდა რიგ ნაკლოვანებებს. რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში არ შესრულდა სასკოლო და სხვა საბავშვო დაწესებულებათა შენობების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის გეგმა, სკოლებმა მთლიანად ვერ განახორციელეს საყოველთაო სავალდებულო სწავლება; სახალხო მეურნეობის გეგმით რესპუბლიკის სკოლებში ჩაბმული უნდა ყოფილიყო 807711 ბავშვი და მოზარდი. ფაქტიურად კი 1963—1964 წლის დასაწყისში (5 სექტემბრის მდგომარეობით) ირიცხებოდა 795917 ბავშვი და მოზარდი, ანუ 11794-ით ნაკლები. საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელების საქმეში განსაკუთრებით ჩამორჩნენ აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ახალქალაქის, ბოლნისის, ახალციხის, გორის, გურჯაანის, ზესტაფონის, ყვარლის, მაიაკოვსკის, საჩხერის და სხვა რაიონები.

აღნიშნული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელი, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები და პროფკავშირული ორგანიზაციები ვერ იყენებენ ყველა საშუალებას ახალი სასწავლო წლისათვის წარმატებით მოსამზადებლად და არ ღებულობენ ზომებს ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

1964—1965 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების წარმატებით მომზადების უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ.

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებმა:

ა) ა/წ 30 აპრილამდე შეადგინონ სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებათა შენობების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის, აგრეთვე ინვენტარის (მერხების, მაგიდების, სკამების, საკლასო დაფების, კარადების და სხვ.) დამზადების, შეძენისა და რემონტის გეგმები და წარუდგინონ განსახილველად და დასამტკიცებლად რაიონის (ქალაქის) მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომებს; სისტემატურად შეამოწმონ ამ

სამუშაოთა მიმდინარეობა და ა/წ 20 აგვისტომდე უზრუნველყონ მათი მაღალხარისხოვნად შესრულება;

ბ) ყოველმხრივ ხელი შეუწყონ და სისტემატური კონტროლი დააწესონ ახალი სასკოლო მშენებლობების, არსებულ სასკოლო შენობებზე მიშენება-დაშენებისა და სხვა სამუშაოთა, მათ შორის კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ ამ დარგში აღებულ ვალდებულებათა შესრულებას; ჩატარებული მუშაობის შესახებ ცნობები, ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მასალასთან ერთად, წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს.

გ) ერთი დეკადის ვადაში დააზუსტონ კაბინეტ-ლაბორატორიების, სასწავლო სახელოსნოების, ბიბლიოთეკების, ფიზკულტურის მოედნების, სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთების, სასკოლო ეზოების მდგომარეობა და დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი მათი წესრიგზე მოყვანის, კეთილმოწყობის, შევსების, ხოლო სადაც ასეთი არ არის, ახალის მოწყობის უზრუნველსაყოფად;

დ) დადგენილ ვადებში მოამარაგონ სკოლები და საბავშვო დაწესებულებები ზამთრის გათბობის სეზონისათვის საჭირო სათბობი მასალით (შეშით, მაზუთით, ნახშირით);

ე) გაატარონ ყველა საჭირო ღონისძიება, რათა სახელმძღვანელოებით მოვაჭრე ორგანიზაციებმა დროულად მიზიდონ ადგილზე რაიონის (ქალაქის) სკოლებისათვის გამოყოფილი სახელმძღვანელოები, რვეულები, თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღები და სხვა სასწავლო ნივთები; სათანადო დახმარება გაუწიონ წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციებს ნახმარი სახელმძღვანელოების შესყიდვის საქმეში;

ვ) არსებული ინსტრუქციის შესაბამისად გულდასმით აღრიცხონ 1 კლასში მისაღები შვიდი წლის ასაკის ბავშვები და სკოლიდან გასული ან სკოლის გარეთ დარჩენილი 15 წლამდე (ჩათვლით) ასაკის ბავშვები და მოზარდები და უზრუნველყონ 1 სექტემბრამდე მათი სწავლებაში ჩაბმა;

ზ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებათა შესაბამისად განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განსახორციელებლად;

თ) კოლმეურნეობათა გამგეობებთან, საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებთან ერთად დასახონ საჭირო ღონისძიებანი და უზრუნველყონ ტრანსპორტით იმ მოსწავლეთა სკოლაში გადაყვანა და გადმოყვანა, რომლებიც სამი და მეტი კილომე-

ტრის მანძილზე ცხოვრობენ, ხოლო სადაც ეს შეუძლებელია, გაითვალისწინონ სასკოლო ინტერნატის გახსნა;

ი) ქმედითი ზომები მიიღონ არსებული სასკოლო ინტერნატების მაგარი და რბილი ინვენტარით უზრუნველსაყოფად, მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობებისა და ინტერნატების სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის მოსაწესრიგებლად;

კ) გაითვალისწინონ, სადაც საამისო პირობები და საჭიროება არსებობს, გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ქსელის გაფართოება ჯგუფების ნორმალური დატვირთვის უზრუნველყოფით;

ლ) გაატარონ საჭირო ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული სასკოლო ქსელის, მოსწავლეთა კონტინგენტისა და კლასის დატვირთვის ნორმების უზრუნველსაყოფად;

მ) ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით განიხილონ სკოლებთან ბუფეტების მოწყობის საკითხი, ამასთან დაკავშირებით გამოჰყონ საჭირო სახსრები საბუფეტე ინვენტარის შესაძენად; სისტემატურად იზრუნონ სკოლების ბუფეტებისა და სასადილოების მაღალხარისხოვანი პროდუქტებითა და ხილით მომარაგებაზე.

მიიღონ ზომები სასწავლო საწარმოო ბაზებში მოსწავლეების კვების ორგანიზაციისათვის პროდუქტების სასკოლო ასორტიმენტის მიხედვით.

2. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიოს ახალი სასწავლო წლისათვის სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების მზადების მიმდინარეობას.

3. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. ვ. ჩინჩალაძე) განახორციელოს სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და საბავშვო ბაგა-ბაღების ახალი სასწავლო წლისათვის მზადებისადმი სისტემატური ხელმძღვანელობა და კონტროლი.

4. სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ტ. ტყემალაძე) დადგენილ ვადაში მოამზადოს გამოსაცემად ყველა სახელმძღვანელო და გადასცეს გამომცემლობას, ამასთან ყოველდღიური კონტროლი დააწესოს პროგრამებისა და სახელმძღვანელოების ბეჭდვაზე.

5. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. შ. ბუთიკაშვილი):

ა) გააძლიეროს კონტროლი განათლების ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობაზე; მიიღოს გადამჭრელი ზომები იმისათვის,

რომ მშენებლობის გეგმები სრულდებოდეს მთავრობის მიერ დადგენილ ვადებში და მაღალხარისხოვნად; დროზე გამოავლინოს გეგმების შესრულების საქმეში ჩამორჩენისა და სამუშაოთა [illegible] ხარისხით შესრულების შემთხვევები და მოახსენოს კოლეგიასა და პრეზიდიუმს საჭირო ზომების მისაღებად;

ბ) სისტემატურად შეამოწმოს რაიონებსა და ქალაქებში შენობების როგორც კაპიტალური, იეს მიმდინარე რემონტის მიმდინარეობა და მიიღოს გადამჭრელი ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

6. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე):

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს თვალსაჩინო ხელსაწყოთა და იარაღების საბაზო მაღაზიისა და მისი ფილიალების მუშაობას ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში სკოლების სასწავლო კაბინეტებისა და სახელოსნოების საჭირო ხელსაწყო-იარაღებითა და პრეპარატებით შევსების საქმეში;

ბ) სისტემატური კონტროლი გაუწიოს სახელმძღვანელოების და სხვა სასწავლო ნივთების დამზადებასა და შემოზიდვას (სათანადო დახაზულობის რვეულები, კალმისტარები, კალმები, ფანქრები, მელანი, ცარცი და სხვ.). მიაღწიოს იმას, რომ სათანადო საწარმოები ვადაზე ადრე და კარგი ხარისხის ინვენტარს ამზადებდნენ, ხოლო განათლების განყოფილებები დროულად ახდენდნენ დამზადებული ინვენტარის ადგილზე მიზიდვას.

7. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე):

ა) სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიოს განათლების ადგილობრივ ორგანოებს 1965 წლის სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული სასკოლო ქსელის, კლასების და მოსწავლეთა კონტინგენტის შესრულებასა და კლასების დატვირთვის ნორმათა მტკიცე დაცვაში;

ბ) მიიღოს საჭირო ზომები ახალი სასწავლო წლისათვას გათვალისწინებული ღონისძიებების ნორმალური დაფინანსების უზრუნველსაყოფად.

8. კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძე) დროულად გაანაწილოს და დანიშნოს ვაკანტურ ადგილებზე ახალგაზრდა სპეციალისტები; საჭირო კონტროლი განახორციელოს მასწავლებელთა გადამზადების გეგმების შესრულებაზე.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი) უზრუნველყოს მასწავლებლებისა და სკოლის სხვა მუშაკთა გადამზადება

განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული გეგმის თანახმად.

10. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, პროფკავშირის საქალაქო, რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებმა ახალი სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მზადების მიმდინარეობის შესახებ ანგარიში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს 1 აგვისტოს, ხოლო შეჯამებული მასალები და მშრომელთა დეპუტატების რაიონის (ქალაქის) საბჭოს მიერ გამოყოფილი კომისიის აქტები ა/წლის 30 სექტემბრამდე.

11. გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ (ამხ. გ. საჯაია) სისტემატურად გააშუქოს ახალი სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მზადების მიმდინარეობა.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

პროფკავშირის რესპუბლიკური
კომიტეტის თავმჯდომარე
ლ. მალლაფერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПРИКАЗ

по Министерству просвещения Грузинской ССР

№ 448

20 апреля 1964 г.

ОБ УТВЕРЖДЕНИИ ОТЧЕТА ПО РЕСПУБЛИКАНСКОМУ БЮДЖЕТУ ЗА 1963 ГОД

Общая сумма кассового расхода по республиканскому бюджету в 1963 году определилась в 4.606.300 рублей при плане в 5.378.400 руб. и открытых кредитов—4.745.100 рублей.

В результате неудовлетворительной работы руководителей некоторых учреждений и непринятия мер к своевременному освоению средств для выполнения всех намеченных планом мероприятий, 1963 году не было освоено против плана—772.100 рублей и открытых кредитов—138 800 рублей.

Неосвоение средств имело место в части ассигнований на питание детей—151.7 тыс. рублей, на капремонт—96.1 тыс. рублей, на учебные расходы—45.6 тыс. руб., на приобретение мягкого инвентаря—13.8 тыс. рублей и по строительству Института усовершенствования учителей—30.0 тыс. рублей.

Наибольшее неосвоение средств допущено в части ассигнований на питание детей по Бетанийской школе-интернату (дир. Тавзарашвили), Тбилисской № 2 школе-интернату (дир. Гудушаури Л.), Тбилисской вспомогательной школе-интернату № 1 (дир. Дудучава М.), Тбилисской школе-интернату глухонемых детей, Тбилисской школе-интернату слепых детей (дир. Квачантирадзе).

Средства по капитальному ремонту зданий не освоили Бетанийская школа-интернат—3500 руб., Тбилисская № 2 школа-интернат (дир. Гудушаури Л.)—3100 руб.

В некоторых учреждениях допущено безхозяйственное отношение, как к мягкому, так и к жесткому инвентарю, в результате чего имеет место его досрочная амортизация, в частности по Бетанийской, Зедарганской, Ахалцихской школам-интернатам. Наряду с этим руководители ряда учреждений допустили нарушения бюджетной дисциплины, перерасходовали средства по хозрасходам Бетанийская школа-интернат—1.0 тыс. рублей, Тбилисская школа-интернат глухонемых детей—4.5 тыс. руб. и по приобретению твердого инвентаря Тбилисская № 1 вспомогательная школа-интернат—800 рублей.

Все еще не ликвидирована дебиторская задолженность достигающая 36.200 руб., при этом за содержание детей в интернатах—5.700 руб.; наибольшая задолженность имеется по Тбилисской № 1 вспомогательной школе-интернату—4.700 руб. и Бетанийской школе-интернату—11.900. руб.

В целях изжития всех указанных выше нарушений

ПРИКАЗЫВАЮ:

1. Обязать руководителей учреждений:

а) принять решительные меры к недопущению каких-либо бюджетно-финансовых нарушений и в кратчайший срок ликвидировать всю дебиторскую задолженность;

б) обеспечить полное освоение средств и выполнение всех мероприятий, предусмотренных бюджетом;

2. Директорам специальных школ-интернатов:

а) обеспечить набор детей в спецшколы, в полном соответствии с утвержденным планом;

б) обеспечить детей нормой питания, согласно утвержденному количеству и ассортименту;

в) принять меры к сохранности жестокого и мягкого инвентаря, не допуская преждевременной его амортизации.

3. Планово-финансовому Управлению (тов. Квачадзе А. Ф.):

а) при ассигновании средств на 2-ой квартал текущего года зачесть подведомственным организациям всю сумму дебиторской задолженности и сверхнормативные остатки материалов;

б) выделение сумм по капитальному ремонту зданий по отдельным учреждениям производить лишь после утверждения соответствующей проектно-сметной документации.

4. Ревизионной группе (тов. Бокучава В.):

а) проверить действительность негодности подлежащего списанию инвентаря и причины его досрочной амортизации по Бетанийской школе-интернату.

5. Вопрос о результатах проверки финансово-хозяйственной деятельности Бетанийской школы-интерната рассмотреть на коллегии Министерства.

6. Предупредить директоров и бухгалтеров всех учреждений, что за допущение в дальнейшем нарушений финансовой дисциплины и за бесхозяйственное отношение к оборудованию и инвентарю они будут привлечены к строгой ответственности.

Отчет за 1963 год по республиканскому бюджету Министерства просвещения Грузинской ССР утвердить.

Основание: постановление коллегии Министерства просвещения от 10 апреля 1964 года.

Министр просвещения
Грузинской ССР
Т. Лашкарашвили

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წ. 22 აპრილის ბრძანება № 463

1963 წლის IV კვარტალში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბიუჯეტო დაწესებულებების მიერ სახელმწიფო სახსრების გამოყენების სისწორის შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 28 თებერვლის № 99 დადგენილების შესაბამისად ჩატარებული შემოწმებებით, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სარევიზიო ჯგუფის მიერ დადგენილია, რომ განათლების სამინისტროს სისტემის რიგმა საბიუჯეტო დაწესებულებებმა 1963 წლის IV კვარტალში დაარღვიეს საფინანსო და საანგარიშსწორებო დისციპლინა, არასწორად მოახდინეს მომარაგებისა, სავაჭრო და სარემონტო სამშენებლო ორგანიზაციებისათვის თანხების ავანსად გადარიცხვა, მაშინ როცა მათ ფაქტიურად საქონელი 1963 წელს არ მიუღიათ და არც სამუშაოები იყო შესრულებული.

ასე, მაგალითად, აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის განათლების განყოფილებამ 1963 წლის IV კვარტალში გადაურიცხა სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციებს 6745 მანეთი ფაქტიურად შეუსრულებელ სამუშაოსა და მიუღებელ მატერიალურ ფასეულობათა ანგარიშში და აღნიშნული თანხა 1964 წლის 1 იანვრისათვის დაიტოვა, როგორც დებიტორული დავალიანება.

აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის კულანურხვსკის სკოლამ ბიუჯეტის გამოუყენებელი სახსრების ნაშთი—1000 მანეთი 1963 წლის 12/XII-ს გადაურიცხა კოლმეურნეობას ფაქტიურად შეუსრულებელი სამუშაოსათვის და გააფორმა ხელშეკრულება თითქოს თანხა გადაეხადოს სკოლის შენობის ჩატარებული რემონტისათვის.

აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის ოთხარის საშუალო სკოლამ 1963 წლის ბოლოს გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების ნაშთი—400 მანეთი გადაურიცხა სარემონტო-სამშენებლო კანტორას ხე-ტყის მასალის ანგარიშში, მაშინ როდესაც კანტორას არავითარი მასალები არ ჰქონდა.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავის რაიონის განათლების განყოფილებამ 1963 წლის 12/XII-ს გადარიცხა 3 248 მანეთი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოს ანგარიშზე „ტუმბოჩკებისათვის", მაგრამ იგი 1964 წლის იანვრისათვის მიღებული არ ყოფილა.

ამბროლაურის რაიონის განათლების განყოფილებამ 1963 წლის დეკემბერში გადაურიცხა სორის სასოფლო საბჭოს დაწყებითი სკოლის რემონტისათვის 252 მანეთი, სამუშაო ფაქტიურად არ ყოფილა შესრულებული.

ქ. თელავის განათლების განყოფილების მიერ წლის ბოლოს გადარიცხულია 110 მანეთი ავეჯის ქარხნისათვის, ფაქტიურად ინვენტარი არ იყო მიღებული.

სიღნაღის სკოლა-ინტერნატმა 1963 წლის ბოლოს მომმარაგებელ ორგანიზაციას გადაურიცხა კვების პროდუქტებისათვის 519 მანეთით მეტი ვინემ საჭირო იყო ნორმატივით.

თბილისის № 91 საშუალო სკოლის მიერ წლის ბოლოს გადარიცხულია შეშის ღირებულებად 247 მანეთი, ხოლო შეშა ა/წლის 6 იანვრისათვის არა ჰქონია მიღებული.

თბილისის № 80 საშუალო სკოლას მიმდინარე წლის 9 იანვრისათვის არ ჰქონდა მიღებული 332 მანეთად ღირებული 20 ცალი მერხი, მაშინ, როდესაც თანხა ამ დანიშნულებით გადაირიცხა წლის ბოლოს.

თბილისის № 88 საშუალო სკოლამ 1963 წლის 28 დეკემბერს გადაურიცხა ავეჯის კომბინატს მერხებისა და სკამების ღირებულებად 7640 მანეთი, რომლიდანაც 1964 წლის 6 იანვრისათვის არ იყო მიღებული 4400 მანეთის დასახელებული ინვენტარი, მაშინ როცა თანხა გატარებული ჰქონდათ ხარჯებში და მომწოდებელი არ ირიცხებოდა დებიტორად.

თბილისის № 7 საშუალო სკოლამ 1963 წლის 28 დეკემბერს გადაურიცხა განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოს პიანინოსათვის 512 მანეთი, მაშინ როდესაც სამმართველოს წლის ბოლოს პიანინო არ გააჩნდა; სკოლამ პიანინო მიიღო 1964 წლის 28 თებერვალს.

თბილისის № 64 საშუალო სკოლამ 1963 წლის ნოემბრის თვეში დამატებით გადაურიცხა თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების საბაზო მაღაზიას 136 მანეთი, მაშინ როდესაც აღრე გადარიცხული საკმაო დიდი რაოდენობის თანხის საქონელი არ ჰქონდა სრულად მიღებული; ამის შედეგად 1964 წლის 1 იანვრისათვის დე-

ბიტორული დავალიანება გაიზარდა 665 მანეთამდე. ამ თანხის საქონელი სკოლამ მიიღო მხოლოდ მიმდინარე წლის 23 მარტს.

თბილისის № 1 გახანგრძლივებული დღის სკოლამ 1963 წლის დეკემბერში გადაურიცხა განათლების სამინისტროს მომარაგებასა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოს რბილი და მაგარი ინვენტარისათვის 2.311 მანეთი. სკოლამ აღნიშნული თანხიდან 1964 წლის 1 იანვრისათვის დატოვა დებიტორულ დავალიანებად 1066 მანეთი. ამ თანხის საქონელი სკოლამ მიიღო 1964 წლის თებერვალში.

თბილისის მე-7 ბაგა-ბაღის მიერ 1963 წლის 29 დეკემბერს საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატისათვის გადარიცხულია სათამაშოების ღირებულებად 2.000 მანეთი. შემხვედრი შემოწმებით დადგენილია, რომ 1964 წლის 6 იანვრისათვის აღნიშნული სათამაშოები ბაგა-ბაღის მიერ არ იყო მიღებული, ხოლო მომწოდებელი არ ყავდათ აღრიცხული დებიტორად.

თბილისის მე-6 ბაგა-ბაღის მიერ 1963 წლის ბოლოს გადარიცხულია ფაქტიურად შეუსრულებელ სარემონტო სამუშაოების ღირებულებად 950 მანეთი.

ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურმა სადგურმა 1963 წლის დეკემბერის თვეში გადაურიცხა მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოს სხვადასხვა მასალებისა და ინვენტარისათვის 1250 მანეთი, მაშინ როდესაც სამმართველოს ბაზებში სადგურისათვის საჭირო ინვენტარი და მასალები არ იყო.

აღნიშნული არასწორი და უკანონო ოპერაციების შედეგად ჩამოთვლილმა საბიუჯეტო დაწესებულებებმა მოახდინეს საბიუჯეტო სახსრების გადამალვა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალ საბიუჯეტო დაწესებულებებში სახელმწიფო სახსრების მომჭირნეობითა და დანიშნულებით გამოყენების მიზნით და მომავალში არასწორი და უკანონო ოპერაციების აღმოსაფხვრელად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ყველა ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებმა შეამოწმონ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში 1963 წლის IV კვარტალში სახელმწიფო სახსრების სწორად ხარჯვის მდგომარეობა, განიხილონ ამ შემოწმების შედეგები და დასახონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ შემდგომში მსგავსი დარღვევების აღმოფხვრას, ხოლო დარღვევების გამოვლინების ყველა შემთხვევაში მკაცრი ზომები მიიღონ დამნაშავეთა მიმართ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოს (ამხ. ს. არველაძე) კატეგორიულად აკრძალოს სამმართველოსადმი დაქვემდებარებულ ყველა სავაჭრო და საწარმოო ობიექტებში საბიუჯეტო დაწესებულებათა აუთვისებელი თანხების მომდევნო წლისათვის ჩატოვების შემთხვევები და მით კრედიტორული დავალიანების შექმნა.

3. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სარევიზიო ჯგუფს (ამხ. ვ. ბოკუჩავა) გააძლიეროს კონტროლი საბიუჯეტო სახსრების მომჭირნეობით და დანიშნულებით გამოყენებისადმი, ქმედითი ზომები მიიღოს არასწორი და უკანონო ოპერაციების გამოსავლინებლად.

4. საფინანსო და საანგარიშგებო დისციპლინის დარღვევისათვის სათანადო ადმინისტრაციული სასჯელი დაადონ:

ა) აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრმა ამხ. ბ. ტარბამ გუდაუთის რაიონის ოთხარისა და კულანურხვსკის სკოლების დირექტორებსა და ბუხჰალტრებს;

ბ) სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. გ. ძაგოევმა—ჯავის რაიონის განათლების განოფილების გამგესა და ბუხჰალტერს;

გ) სიღნაღის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ე. დალაქიშვილმა—სიღნაღის სკოლა-ინტერნატის დირექტორსა და ბუხჰალტერს;

დ) ქ. თბილისის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. თ. ეგაძემ—№ 7, № 91, № 80, № 88, № 64 საშუალო სკოლების, № 1 გახანგრძლივებული დღის სკოლის, მე-6 და მე-7 ბაგა-ბაღების გამგეებს (დირექტორებს) და ბუხჰალტრებს;

ე) ამბროლაურის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ვ. ჯაფარიძეს, ქალაქ თელავის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ი. ქოჩლაძეს, და ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის დირექტორს ამხ. შ. მანგიაშვილს მიეცეთ გაფრთხილება, რომ მომავალში საფინანსო და საანგარიშგებო დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში მათ მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ზომები.

5. დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ყველა ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებს ბიუ-

ჯეტზე მყოფ დაწესებულებებში 1963 წლის IV კვარტალში სახელმწიფო სახსრების სწორად ხარჯვის შემოწმების შედეგები და დამნაშავეთა მიმართ მიღებულ ზომების შესახებ აცნობონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

6. ბრძანება გამოქვეყნებულ იქნას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულის უახლოეს ნომერში.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წ. 24 აპრილის ბრძანება № 469-ა

ბეთანიის სანატორიული სკოლა-ინტერნატის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმების შედეგების შესახებ

ბეთანიის სანატორიული სკოლა-ინტერნატის შემოწმებით დადასტურდა, რომ სკოლა-ინტერნატის მუშაობას ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი.

1963 წლის ბიუჯეტი შესრულებულია თანხების აუთვისებლობითა და დახარჯვით, სახელდობრ 1, 3 მუხლებში გადახარჯულია 1330 მანეთი; 9, 16 მუხლებში კი აუთვისებელია 4378 მანეთი.

სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულია საბიუჯეტო სახსრების გადამალვა 7915 მანეთის რაოდენობით რითაც სასტიკადაა დარღვეული საფინანსო დისციპლინა.

სკოლა-ინტერნატში ადგილი აქვს რბილი და მაგარი ინვენტარის უდროოდ ჩამოწერის მასიურ შემთხვევებს, სახელდობრ: 1962 წელს ჩამოწერილია 23149 მანეთის რბილი და მაგარი ინვენტარი; მიუხედავად ამისა, 1963 წელს წარმოდგენილია ჩამოსაწერად 24975 მანეთის,. მ. შ. საბანი 70 ცალი, ლეიბი 60 ცალი, ბალიში 177 ცალი, „ჩიხოლი“ 245 ცალი, ზეწარი 300 ცალი, ფარდა 58 ცალი, ფიანდაზი 28 მ, ფანჯრის კარნიზი 30 ცალი, სკამი 176 ცალი, კარადა 6 ცალი, საწოლი რკინის 58 ცალი, მაგიდა 15 ცალი და სხვ., ასევე ნაადრევადაა ჩამოწერილი აღსაზრდელთა ტანსაცმელები.

სკოლა-ინტერნატის დირექციამ როგორც 1963 წლის განმავლობაში, ისე 1964 წლის იანვარ-თებერვალში ვერ უზრუნველყო აღსაზრდელები ნორმით დამტკიცებული კვების პროდუქტით; ნორმაზე ნაკლები ოდენობითაა გაცემული: 1418 კგ ხორბლის ფქვილი, 10665 კგ კარტოფილი, 4823 კგ ბოსტნეული, 1766 კგ ახალი ხილი, 817 კგ ხორცი, 2579 კგ თევზი, 491 კგ ძეხვის ნაწარმი, 598 კგ ქაშაყი და ხიზილალა, 11590 კგ რძე, 3305 კგ ხაჭო, 1076 კგ არაჟანი, 119 კგ. ზეთი. ამასთანავე გაცემულია ნორ-

მაზე ზევით: ბურღული და მაკარონი 985 კგ, ყველი 745 კგ, შედეგებული რძე 786 კგ, კისელის ფხვნილი, კომპოტი და პავიდლო 1267 კგ, პური 15279 კგ, რის შედეგადაც თითოეულ ბავშვზე ულიწადში დაკლებულია 11 მანეთის კვების პროდუქტები. ანალოგიური მდგომარეობაა 1964 წლის იანვარ-თებერვალშიაც. მენიუ-განაწილებაში (ან ცალკე რვეულში) გამოყვანილი არ არის მზა კერძების გამოსავლიანობა და არ ხდება მათი ლაბორატორული ანალიზი.

სკოლა-ინტერნატში ბავშვთა შენახვის გადასახადის დავალიანება დიდია, სახელდობრ 1964 წლის 1 იანვრისათვის უდრიდა 715 მანეთს, ხოლო 1 მარტისათვის გაზრდილია 1885 მანეთამდე.

მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა, 1963 წლის პერიოდში ყოფილ დიასახლისს ნ. ნათელაშვილს და ამჟამად მომუშავე დიასახლისს ვ. ბორზოვას გაცემული აქვთ პირადი სარგებლობისათვის სკოლა-ინტერნატის 15 თანამშრომელზე 822 მანეთის ღირებულების რბილი ინვენტარი, რომლის შესახებ დირექციისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ რევიზიის პროცესში.

სკოლა-ინტერნატის დამხმარე მეურნეობის ხელმძღვანელობის მოუქნელი მუშაობის გამო ადგილი აქვს ხეხილის დაავადებას, დაზიანებას და მასიურ გახმობას, რის შედეგადაც 1963 წლის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 66%-ით. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მეურნეობის დაფინანსება მოსავლის აღებამდე წარმოებს სკოლა-ინტერნატის საბიუჯეტო თანხებით, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ვ ბ რ ძ ა ნ ებ

1. ბეთანიის სანატორული სკოლა-ინტერნატის დირექტორს მ. თავზარაშვილს და ყოფილ დირექტორს ა. წერეთელს, რომელიც ამჟამად გლდანის № 1 სკოლა-ინტერნატის დირექტორის თანამდებობაზე მუშაობს, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში დაშვებული დარღვევებისათვის გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

2. სკოლა-ინტერნატის სამეურნეო საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა დაშვებისათვის და მაგარი ინვენტარის მოუვლელობისათვის გამოეცხადოს საყვედური დირექტორის თანაშემწეს სამეურნეო დარგში—გ. გამყრელიძეს.

3. ბეთანიის სკოლა-ინტერნატის ბუხჰალტერს—ა. ჭოლაძეს, რომელიც სისტემატურად არღვევს საფინანსო დისციპლინას, გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით, რომ

მომავალში მსგავსი დარღვევების დაშვების შემთხვევაში მოხსნილი იქნება თანამდებობიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. სკოლა-ინტერნატის დამხმარე მეურნეობის სამუშაო გეგმის ჩაშლისათვის და ბაღის მოუვლელობისათვის აგრონომ გ. ნიორაძეს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

5. დაევალოს ბეთანიის სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელობას:

ა) არ დაუშვას საფინანსო დისციპლინის დარღვევა, ხარჯთაღრიცხვით დამტკიცებული თანხების გადახარჯვა ან აუთვისებლობა, ამასთანავე უზრუნველყოს მათი დროულად და მიზნობრივად გამოყენება;

ბ) მტკიცე კონტროლი დააწესოს აღსაზრდელთათვის ნორმით გათვალისწინებული კვების პროდუქტებით უზრუნველყოფაზე;

გ) ქმედითი ზომები მიიღოს სკოლა-ინტერნატში რიცხულ აღსაზრდელთა შენახვის გადასახადისა და დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა სალიკვიდაციოდ;

დ) მოაწესრიგოს სკოლა-ინტერნატის მატერიალურ ფასეულობათა მოვლა-დაცვის საქმე, დაუყოვნებლივ ჩამოართვას თანამშრომლებს მათზე გაცემული რბილი ინვენტარი, ხოლო დიასახლის ვ. ბორზოვას დაადოს სათანადო ადმინისტრაციული სასჯელი;

ე) მიმდინარე წლის პირველ მაისამდე შეიმუშაოს სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთა კერძების რეცეპტურა, გამოსავლიანობის ნორმების აღნიშვნით.

6. დაევალოს სკოლა-ინტერნატის დამხმარე მეურნეობის აგრონომს დაუყოვნებლივ გარდაქმნას მუშაობა იმგვარად, რომ მეურნეობა რენტაბელური იყოს და არ სჭირდებოდეს სკოლა-ინტერნატის სახსრების გამოყენება.

მასვე დაევალოს მიმდინარე წელს დაფაროს მეურნეობის შემოსავლიდან სკოლა-ინტერნატის დავალიანება, რომელიც შექმნილია 1962 წლიდან.

ბრძანება გამოქვეყნებულ იქნას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციების კრებულის უახლოეს ნომერში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 24 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის

დადგენილება

1964 წლის 24 აპრილი

გეგეჭკორის, თეთრიწყაროს და ყვარლის რაიონებში მასწავლებელთა კადრებთან მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ გეგეჭკორის, თეთრიწყაროს და ყვარლის რაიონების განათლების განყოფილებებისა და პროფკავშირის რაიონული კომიტეტის მიერ ტარდება გარკვეული მუშაობა სკოლების კვალიფიციურ მასწავლებელთა კადრებით დაკომპლექტების, მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების მეთოდების სრულყოფისათვის.

გეგეჭკორის, თეთრიწყაროს და ყვარლის რაიონების სკოლები ძირითადად უზრუნველყოფილნი არიან სათანადო განათლების ცენზის მქონე მასწავლებლებით. საშუალო და რვაწლიანი სკოლების დირექტორებად მუშაობენ უმაღლესი პედაგოგიური განათლებისა და საკმაო გამოცდილების მქონე პირნი. ერთგვარი მუშაობა ტარდება მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად როგორც მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ხაზით, ისე ადგილებზე მოწყობილი სემინარების საშუალებით. საჭირო დახმარება ეწევა დამწყებ მასწავლებლებს.

განათლების განყოფილებათა და რაიონების პედაგოგიური კაბინეტის აპარატის შტატი დაკომპლექტებულია გამოცდილი კადრებით; განათლების განყოფილებებთან შექმნილია საზოგადოებრივ ინსპექტორთა ჯგუფები, რომლებიც ჩაბმულნი არიან სკოლებისა

და მასწავლებლების მუშაობის შემოწმებაში და უწევენ მათ დახმარებას.

ამასთან ერთად განათლების სამინისტროს კოლეგია და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ გეგეჭკორის, თეთრი-წყაროს და ყვარლის რაიონების განათლების განყოფილებებს და პროფკავშირის რაიონულ კომიტეტებს მასწავლებელთა კადრებთან მუშაობაში გააჩნიათ რიგი ნაკლოვანებები.

არის შემთხვევები, როდესაც მასწავლებლების სამუშაოზე დანიშვნის დროს ირღვევა არსებული წესი. ყვარლის რაიონის ლაგოდეხის (რუსული) საშუალო სკოლაში და ყვარლის სკოლა-ინტერნატში სამუშაოზე გაგზავნილია ზოგიერთი მასწავლელელი სათანადო ბრძანების გარეშე. ამავე რაიონის შილდის, გრემის, ლაგოდეხის რუსულ საშუალო სკოლებსა და ყვარლის სკოლა-ინტერნატის ზოგიერთ დაწყებით კლასებში განათლების განყოფილების მიერ დანიშნული არიან მასწავლებლად ზოგადი საშუალო განათლების მქონე პირნი, ნაცვლად სათანადო პედაგოგიური განათლების მქონე მასწავლებლებისა.

არ არის სათანადოდ გამახვილებული ყურადღება სკოლებში მომუშავე მასწავლებლების ნორმალური პედაგოგიური დატვირთვით უზრუნველყოფის საქმეზე და გეგეჭკორისა და ყვარლის რაიონების რიგ სკოლებში ბევრი მასწავლებელი მცირე პედაგოგიური დატვირთვით მუშაობს.

თეთრიწყაროს და ყვარლის რაიონების ზოგიერთი სკოლები უცხო ენებისა და რუსული ენის მასწავლებლების ნაკლებობას განიცდიან.

სკოლების ხელმძღვანელთა შორის მცირეა ქალების რიცხვი. გეგეჭკორის რაიონის 31 საშუალო სკოლის დირექტორიდან ქალია-3; ამავე რაიონის 41 რვაწლიანი სკოლის დირექტორიდან— 4; ყვარლის რაიონის 26 რვაწლიანი სკოლის დირექტორიდან ქალია 2, თეთრიწყაროს რაიონის 22 საშუალო და 47 -რვაწლიანი სკოლების დირექტორებიდან ქალია მხოლოდ ერთი.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ბევრი სკოლის მასწავლებელს არა აქვს უმაღლესი განათლება და ჯერ კიდევ არ არის ჩაბმული დაუსწრებელ სწავლებაში.

სრულ წესრიგში არ არის მოყვანილი მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა პირადი საქმეები, ყვარლისა და თეთრიწყაროს რაიონების რიგ სკოლებში (ყვარლის რაიონის ყვარლის 1,

ლაგოდეხის რუსული, ორჯონიკიძის საშუალო სკოლები, ყვარლის სკოლა-ინტერნატი; თეთრიწყაროს რაიონის ირაგის, ჯინისის, თეთრიწყაროს რუსული საშუალო სკოლები) ბევრგან მოუგვარებელია შრომის წიგნაკების შედგენისა და წარმოების საქმე. ხშირად შრომის წიგნაკებში არ შეაქვთ ცნობები მუშაკის შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ; ყვარლის რაიონის ორჯონიკიძის საშუალო სკოლის 31 მუშაკიდან შრომის წიგნაკი არა აქვს 18 კაცს, ყვარლის სკოლა ინტერნატის 54 მუშაკიდან—30 მუშაკს და სხვა.

აღნიშნული რაიონების განათლების ორგანოები და პროფკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ საჭირო ყურადღებას არ აქცევენ მასწავლებლების უფასო კომუნალურ მომსახურეობის საქმეს, სუსტად ანხორციელებენ კონტროლს სოფლის მასწავლებელთა შეღავათებისა და უპირატესობების შესახებ მთავრობის დადგენილების შესრულებაზე, იშვიათად ან სრულიად არ აყენებენ საკითხებს ამის შესახებ რაიონის ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოების წინაშე. თეთრიწყაროს რაიონის განათლების განყოფილებას და პროფკავშირის რაიონულ კომიტეტს შემოწმების დროისათვის არ ჰქონდათ განხილული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მიერ მიღებული 1963 წლის 27 დეკემბრის ერთობლივი დადგენილება სასოფლო რაიონებში მასწავლებლების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და არ გაუტარებიათ ქმედითი ღონისძიებანი ამ დადგენილების შესასრულებლად.

ამავე დროს მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. თეთრიწყაროს რაიონის სოფ. თაქილისაში 1961 წელს დაწყებული მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დღესაც არ არის დამთავრებული. ყვარლის რაიონის სოფ. შრომაში 1962 წელს აგებული მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლი არადანიშნულებით არის გამოყენებული, მაშინ როდესაც ამ სოფლის სკოლის მოსულ მასწავლებელთა ერთი ნაწილი დაქირავებულ ბინაში ცხოვრობს და ზოგიერთი მასწავლებელი კი უბინაობის გამო ყოველდღიურად დაიარება ლაგოდეხიდან.

მასწავლებელთა სახლების მშენებლობაში არ არის გამოყენებული თვითდაბეგვრის სახსრები.

ნაცვლად უფასო ბინის, გათბობისა და განათებისა, მასწავ-

ლებლებს, ხშირ შემთხვევაში, ეძლევათ ფული და ისეთი რაოდენობით, რაც ოდნავადაც ვერ უზრუნველყოფს ფაქტიურ [illegible] ჯებს (თეთრიწყაროს რაიონის წინწყაროს, ბეშთაშენისა და სხვ. სკოლები).

ჯერ კიდევ არ არის გაშლილი მუშაობა სკოლების ჩასაბმელად კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში. განათლების განყოფილებები და პროფკავშირული ორგანიზაციები სუსტად მუშაობენ იმ მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების გამოცდილების შესწავლისა და გავრცელებისათვის, რომლებმაც მიაღწიეს მეორეწლიანობის გარეშე მუშაობას და რომლებსაც გააჩნიათ კარგი მაჩვენებლები მოსწავლეთა საფუძვლიანი ცოდნით შეიარაღების საქმეში. ამასთან აღნიშნული რაიონების რიგ სკოლებში საგრძნობია სწავლაში ჩამორჩენილ მოსწავლეთა რაოდენობა, არ არის აღმოფხვრილი სკოლიდან მოსწავლეთა განთესვის შემთხვევები.

აღნიშნული ნაკლოვანებანი არის იმის შედეგიც, რომ განათლების განყოფილებები და პროფკავშირის რაიონული კომიტეტები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ მასწავლებელთა კადრებთან მუშაობას, საჭირო მომთხოვნელობას არ უყენებენ სკოლების ხელმძღვანელებსა და მასწავლებლებს თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა სკოლის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად.

მასწავლებელთა კადრებთან მუშაობის საკითხები მცირე რაოდენობით იხილება სახალხო განათლების საბჭოებისა და პროფკავშირის რაიკომების პრეზიდიუმების სხდომებზე. საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1963 წლის 10 ნოემბრის № 982/კ ბრძანება „მასწავლებელთა კადრების შერჩევის, გამოყენებისა და აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, შემოწმების დროისათვის არ იყო განხილული ყვარლის რაიონის სახალხო განათლების საბჭოსა და ამ რაიონის სკოლების პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე. ეს ბრძანება არ განუხილავთ აგრეთვე თეთრიწყაროს რაიონის ყველა სკოლების პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე.

რაიონის სახალხო განათლების საბჭოს სხდომები რეგულარულად არ ტარდება. მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში (1963 წლის 1-ლ სექტემბრიდან 1964 წლის 8 აპრილამდე) ყვარლის რაიონის სახალხო განათლების საბჭოს სხდომა მხოლოდ სამჯერ არის ჩატარებული.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ:

1. დაევალოს გეგეჭკორის, თეთრიწყაროს, ყვარლის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს (ა. სურმავა, ქ. ცხვედიანი, ა. ბეგიაშვილი) და ამავე რაიონების პროფკავშირის რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებს (ნ. ჭოჭუა, ვ. აივაზოვი, ო. ხვთისაურაშვილი):

ა) სისტემატურად შეისწავლონ მასწავლებელთა კადრებთან მუშაობის საკითხები და გაატარონ ღონისძიებანი სკოლების სათანადო ცენზის მქონე მასწავლებლებით დაკომპლექტებისა და მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა და პროფესიული დახელოვნებისათვის. მასწავლებელთა კადრებთან მუშაობისას ზუსტად იხელმძღვანელონ ამ საკითხზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ მიღებული ბრძანებებითა და დადგენილებებით;

ბ) მიიღონ ზომები დაუსწრებელ სწავლებაში იმ მასწავლებელთა ჩასაბმელად, რომლებსაც სათანადო განათლება არა აქვთ, სისტემატური დახმარება და კონტროლი გაუწიონ დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ მასწავლებლებს;

სერიოზული ყურადღება დაუთმონ მასწავლებელთა თვითგანვითარებით მუშაობას, მიაღწიონ იმას, რომ ეს მუშაობა გახდეს კვალიფიკაციის ამაღლების ძირითადი ფორმა;

გ) მუდმივი ზრუნვა გამოიჩინონ მასწავლებლებისათვის სათანადო საბინაო საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად; მკაცრი კონტროლი დააწესონ სოფლის მასწავლებელთათვის დადგენილი შეღავათებისა და უპირატესობების შესრულებაზე, ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით უზრუნველყონ განათლების მუშაკთათვის მთავრობის მიერ დადგენილი ყველა შეღავათისა და უპირატესობის აუცილებელი შესრულება.

2. ყვარლის და თეთრიწყაროს რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა ა. ბეგიაშვილმა და ქ. ცხვედიანმა და ამავე რაიონების პროფკავშირის რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებმა ო. ხვთისაურაშვილმა და ვ. აივაზოვმა მიიღონ ზომები მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა პირადი საქმეების სრულ წესრიგში მოსაყვანად და შრომის წიგნაკების წარმოების დარგში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

3. ყვარლის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ა. ბეგიაშვილმა ზუსტად დაიცვას მასწავლებელთა კადრების სამუშაოზე დანიშვნის არსებული წესი, არ დაუშვას მომავალში შეუფერე-

ბელი კადრების გაგზავნა სკოლებში სამუშაოდ და მუშაკთა საძუ-
შაოზე დაშვება სათანადო ბრძანების გარეშე.

4, გაფრთხილებული იქნან ყვარლის რაიონის განათლების, განყოფილების გამგე ა. ბეგიაშვილი, თეთრიწყაროს რაიონის განათლების განყოფილების გამგე ქ. ცხვედიანი და პროფკავშირის ყვარლისა და თეთრიწყაროს რაიკომების თავმჯდომარეები ო. ხვთისაურაშვილი და ვ. აივაზოვი, რათა მომავალში უზრუნველყონ განათლების სამინისტროს ბრძანებების, განკარგულებებისა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის დადგენილებებზე სათანადო რეაგირება, და დროულად დაიყვანონ ისინი სკოლებამდე და ცალკეულ შემსრულებლებამდე.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა სკოლების ინსპექტირების დროს სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობასთან ერთად, შეისწავლონ მასწავლებელთა კადრებთან მუშაობის, მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა შრომის ორგანიზაციისა და შრომის კანონმდებლობის დაცვის საკითხები და შედეგები. განიხილონ კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე.

6. პროფკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებმა გააძლიერონ კონტროლი განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ შრომითი კანონმდებლობის დაცვის საქმეზე, პერიოდულად მოისმინონ მათი ანგარიშები ამ საკითხებზე პრეზიდიუმების (კომიტეტების) სხდომებზე, ფართოდ ჩააბან ამ საქმეში პროფკავშირული აქტივი, საზოგადოებრივი ინსპექტორები და შრომის დაცვის კომისიის წევრები.

7. განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ი. კვაჭაძე) უზრუნველყოს თეთრიწყაროს, ყვარლის და გეგეჭკორის რაიონების სკოლებში ვაკანტურ ადგილებზე ახალგაზრდა სპეციალისტების დროული დანიშვნა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს თეთრიწყაროსა და ყვარლის რაიონების, სკოლების დაკომპლექტებას რუსული ენისა და უცხო ენების მასწავლებლებით.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

განათლების, უმაღლესი სკოლისა
და სამეცნიერო დაწესებულებების
მუშაკთა პროფკავშირის საქართ-
ველოს რესპუბლიკური კომიტე-
ტის თავ-რე **ლ. მალლაფერიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წ. 4 მაისის ბრძანება № 492

სასკოლო და სასკოლათაშორისო სახწავლო-საწარმოო სახელოსნოების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

რიგ ქალაქებსა და რაიონებში განათლების ორგანოებმა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების უშუალო დახმარებით შექმნეს სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები.

სახელოსნოებისათვის სათანადო ფართობის გამოყოფისა და ორგანიზაციის საქმეში მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გატარებული ქ. თბილისის კალინინის, ორჯონიკიძისა და 26 კომისრის სახელობისა და ქობულეთისა, გუდაუთის და სხვა რაიონებში.

ბოლნისის რაიონის კიზილკილისისა და ქობულეთის რაიონის მახინჯაურის საშუალო სკოლების სახელოსნოებისათვის აგებულ იქნა ცალკე შენობები, სადაც მოწყობილია სადურგლო და სამკერვალო სასწავლო-საწარმოო საამქროები. ამასთან რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების სასწავლო და საწარმოო დანიშნულების ჩარხებით, დაზგებით, ხელსაწყო-იარაღებითა და ნედლეულით მომარაგების დარგში.

შემოწმებული სახელოსნოების მასწავლებელთა ერთი ნაწილი პასუხისმგებლობით ეკიდება საწარმოო სწავლებისა და მოსწავლეთა მწარმოებლური შრომის სწორად ორგანიზების საქმეს და მომზადებულად ატარებს გაკვეთილებს. მაგალითად, ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის სასკოლათაშორისო სახელოსნოს საზეინკლო საქმის პრაქტიკული საწარმოო სწავლების მასწავლებელმა (მ. სიმონიშვილი) X კლასში შესავალი საუბრით მოსწავლეებს გააცნო ხელის გირაგის ნაწილები, მათი დანიშნულება, დამუშავების თანამიმდევრობა და ყოველივე ამის შემდეგ მოსწავლეებს დაურიგა ხელის გირაგის ნამზადები, დამუშავებისათვის საჭირო ტექნოლოგიური რუკები; ამის შემდეგ მოსწავლეები შეუდგნენ დამოუკიდებელ სამუშაოს შესრულებას, რაზედაც კონტროლსა და დახ-

მარებას ახორციელებდა მასწავლებელი. ასევე კარგად მუშაობენ ამ სახელოსნოს საავეჯო საქმის თეორიისა და პრაქტიკის მასწავლებლები ა. გოთოშია და ნ. ბასილაშვილი, ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონი სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს მეავეჯის პროფესიის სპეციალობის თეორიის მასწავლებელი ე. კაცაძე და სამკერვალო საქმის პრაქტიკული საწარმოო სწავლების მასწავლებელი ა. ლალიაშვილი.

მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა შემოწმებული სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების კეთილმოწყობისა და მუშაობის საქმეში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილების გამგეები ნაკლებად ზრუნავენ სახელოსნოებისათვის სათანადო სათავსოების გამოყოფის შესახებ. დაბა ბოლნისის სასკოლათაშორისო სადურგლო სასწავლო-საწარმოო საამქრო მოთავსებულია შეუფერებელ სათავსოში, რის შედეგადაც ამ საამქროში დაბალ დონეზე ტარდება, როგორც საწარმოო სწავლება, აგრეთვე მოსწავლეთა მწარმოებლური შრომა; ასევე შეუფერებელი სათავსოა გამოყოფილი ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონისა და მანგლისის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებისათვის.

ზოგიერთ შემთხვევაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა და მოუწესრიგებელია სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების ნედლეულით მომარაგებისა და მზა პროდუქციის რეალიზაციის საქმე, ასე, მაგალითად, ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სასკოლათაშორისო სახელოსნოს 1964 წ. პირველ კვარტალში გეგმით უნდა მიეღო 47 კუბმეტრი ხის მასალა, მიიღო 25,5 კუბმეტრი, ფანერა შეწებილი — 7,7 კუბმეტრი, მიიღო3,6 კუბმეტრი, ფანჯრის მინა—74 კვდ. მეტრი, მიიღო 5 კვდ. მეტრი და სრულიად არ მიუღია დამხმარე მასალები (ნიტროლაქი, წებო კაზეინი, ლურსმანი და სხვ.), რაც დიდ გავლენას ახდენს როგორც სწავლებაზე ასევე საწარმოო გეგმების შესრულებაზე.

თითქმის ყველა შემოწმებულ სასკოლათაშორისო სახელოსნოს პრაქტიკული საწარმოო სწავლებისა და მოსწავლეთა მწარმოებლური შრომის ჩასატარებლად მოწყობილი საამქროები ძირითადად დამონტაჟებულია ძველი ნიმუშის ჩარხებითა და დაზგებით, რაც საპროგრამო მასალის სრულყოფილად გავლისა და ხარისხიანი პროდუქციის გამოშვების საშუალებას არ იძლევა.

შემოწმებით გამოირკვა, რომ სახელოსნოების ხელმძღვანელები და საამქროს უფროსები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მათზე გაპიროვნებული დანადგარებისა და ხელსაწყოების სწორ ექსპლოტაციას, გამოყენებისა და დაცვის საქმეს. ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სასკოლათაშორისო სახელოსნოს სამკერვალო საამქროში (გამგე მ. კანკავა) თითქმის ყველა ფეხის საკერავი მანქანის დგარი დაკაწრული და დაჩხვლეტილია, რაც იმის შედეგია, რომ საკერავი მანქანები გაპიროვნებული არაა მოსწავლეებზე და სამკერვალო საქმის პრაქტიკული სწავლების მასწავლებლები არ ახდენენ ცვლების დროს საამქროს გადაბარებას.

რიგ შემოწმებულ სახელოსნოებში ნაკლებ ყურადღებას უთმობენ უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების დაცვის საქმეს; მოსწავლეთათვის შეძენილი არ არის სპეციალური ტანსაცმელი და მოუგვარებელია პირადი ჰიგიენა.

ზოგიერთი სასკოლო და სასკოლათაშორისო სახელოსნოს ხელმძღვანელები და განსაკუთრებით საამქროს უფროსები ნაკლებად ზრუნავენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ქ. ქუთაისის გუმათის სასკოლო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს (გამგე ი. უგულავა) გამოშვებული პროდუქცია უკან იქნა დაბრუნებული უხარისხოდ შეკერვისა და საცალო საპრეისკურანტო ფასების დაუცველობის გამო.

სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების ზოგადტექნიკური და პროფესიული მომზადების მასწავლებელთა ერთი ნაწილი სწავლებაში არ იყენებს თვალსაჩინოებას და დაბალ აკადემიურ დონეზე ატარებს გაკვეთილებს. ბოლნისის სასკოლათაშორისო სახელოსნოს სამკერვალო საქმის თეორიის მასწავლებელმა (ლ. გობეჯიშვილი) ქართული საშუალო სკოლის X კლასში ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე გამოკითხა გაკვეთილი, რასაც დიდი დრო მოანდომა; ასევე სუსტად მუშაობს ამავე სახელოსნოს სამკერვალო საქმის პრაქტიკული საწარმოო სწავლების მასწავლებელი (შ. აბასოვი) აზერბაიჯანული საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე გოგონებთან.

შემოწმებულ სასკოლო და სასკოლათაშორისო სახელოსნოების თეორიული და პრაქტიკული საწარმოო სწავლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი უპასუხისმგებლოდ ეკიდება საგნის სწავლების საქმეს, სწავლებაში არ იყენებს თვალსაჩინოებას, არ იცავს საპროგრამო მასალის გავლის თანმიმდევრობას, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს ზოგადსაგანმანათლებლო, ზოგადტექნიკურსა და პროფესიული მომზადების საგნებს შორის კავშირს, რის შედე-

გად სკოლებში დაბალია მოსწავლეთა აკადემიური წარმატების დონე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. თბილისის 58-ე და 68-ე საშუალო სკოლების X—XI კლასების (მასწავლებელი მ. მინდორაშვილი) მოსწავლეებს, რომლებიც საწარმოო სწავლებას ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სასკოლათაშორისო სახელოსნოში გადიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ საკერავი მანქანების ტიპებზე, არ იციან საკერავ მანქანებში სად არის გამოყენებული ფრიქციული და ღვედური გადაცემები, მრუდმხარა ბარბაცა და ლარტყული მექანიზმები, რომლებიც შეისწავლება როგორც მანქანათმცოდნეობის, სამკერვალო საქმის თეორიის სწავლების, ასევე მექანიზმების თეორიული საფუძვლების შესწავლისას ფიზიკაში. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ამ სახელოსნოზე მიმაგრებულ ქ. თბილისის 62-ე საშუალო სკოლის IX კლასში (საავეჯო საქმის პრაქტიკული საწარმოო სწავლების მასწავლებლები: ა. ლელაშვილი და მ. პავლიაშვილი), სადაც მოსწავლე ვაჟები მეავეჯის პროფესიას ეუფლებიან.

რიგი ნაკლოვანებებით ხასიათდება შემოწმეულ სახელოსნოებზე მიმაგრებული სკოლების IX კლასებში ზოგადტექნიკური საგნის—მანქანათმცოდნეობის სწავლება. ქ. ბათუმის პირველი სკოლა-ინტერნატის IX კლასში (მასწავლებელი ი. ზენაიშვილი) მანქანათმცოდნეობაში გაუვლიათ არასაპროგრამო მასალა—ავტომობილი, მაშინ როდესაც წარმოდგენა არა აქვთ მანქანათმცოდნეობის პროგრამით გათვალისწინებული მანქანათ-სამშენებლო მასალებზე, ლილვებსა და ღერძებზე.

ზოგჯერ ქ. ბათუმის პირველი სკოლა-ინტერნატისა და ქობულეთის რაიონის მახინჯაურის სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების გამგეები არ აწარმოებენ IX XI კლასების მოსწავლეთა მიერ საწარმოო სწავლებისა და მწარმოებლური შრომის პროცესში შექმნილ პროდუქციაზე შრომის ანაზღაურებას.

ზოგიერთ სასწავლო-საწარმოო სახელოსნოში ადგილი აქვს IX—XI კლასების მოსწავლეთა სამუშაოზე გამოუცხადებლობის, დაგვიანებისა და გაპარვის შემთხვევებს. ქ. თბილისის 78-ე საშუალო სკოლის 86 მოსწავლეს გაცდენილი აქვს 1286 საათი, ხოლო 98-ე საშუალო სკოლის 90 მოსწავლეს მესამე მეოთხედში—4563 საათი.

შემოწმებულ სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში სუსტად არის დაყენებული მეთოდური მუშაობა მასწავლებელთა შორის. შექმნილი არ არის პოლიტექ-

ნიკური ციკლისა და პროფესიული მომზადების საგნების მასწავ-
ლებელთა მეთოდგაერთიანება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ ზოგიერთ განათლების განყოფილების გამგე, სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე ვერ ახორციელებენ დახმარებასა და კონტროლს სახელოსნოებისა და მასწავლებელთა მუშაობაზე, ასევე სუსტია დახმარება და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე, სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეებისა საწარმოო სწავლების დარგში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გაითვალისწინონ ბრძანებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი მათი აღმოფხვრის მიზნით;

ბ) სისტემატურად იზრუნონ სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების სასწავლო მატერიალური ბაზის განმტკიცებაზე;

გ) სათანადო ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი დააწესონ ბრძანებაში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებლებზე და საჭიროების შემთხვევაში დააყენონ საკითხი სათანადო წესის მიხედვით მათი განთავისუფლების შესახებ.

2. სკოლის დირექტორებმა:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა, კონტროლი და დახმარება საწარმოო სწავლების მასწავლებლებისადმი; სისტემატურად მოისმინონ მათი გაკვეთილები, მოახდინონ მისი ღრმა ანალიზი და შეამოწმონ მიცემულ მითითებათა შესრულება;

ბ) გააძლიერონ პოლიტექნიკური ციკლის საგნის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანების მუშაობა და უზრუნველყონ ზოგადსაგანმანათლებლო, პოლიტექნიკურ და საწარმოო სწავლების საგნებს შორის კავშირის განმტკიცება.

3. სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების გამგეებმა:

ა) მიიღონ საჭირო ზომები სახელოსნოებში პრაქტიკული საწარმოო სწავლებისათვის საამქროების მოწყობა-სრულყოფისათვის;

ბ) გადაჭრით გააუმჯობესონ მოსწავლეთა პრაქტიკული საწარმოო სწავლება, მწარმოებლური შრომის ორგანიზაცია, უსაფრ-

თხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების დაცვის საქმე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გადაჭრით გააუმჯობესონ სახელოსნოებში არსებული დანადგარები მანქანების, ჩარხებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა დაცვის საქმე და არ დაუშვან მათი დაზიანებისა და მწყობრიდან გამოყვანის შემთხვევები.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცირკულარი

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს

პედაგოგიური ინსტიტუტების რექტორებს

მიმდინარე წლის 1-დან 20 ივნისამდე იწარმოებს მისაღები გამოცდები ა. ს. პუშკინის სახელობის, ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის, სოხუმის მ. გორკის სახელობის, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის, გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის, სამხრეთ-ოსეთის და თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტების დაუსწრებელ განყოფილებებზე. განცხადებების მიღება წარმოებს 31 მაისამდე.

ამასთან დაკავშირებით გევალებათ გაატაროთ სათანადო ღონისძიებანი დაუსწრებელ სწავლებაში იმ მასწავლებლების ჩასაბმელად, რომლებიც მუშაობენ სკოლებში და ჯერ კიდევ არ გააჩნიათ უმაღლესი განათლება. ხელი შეუწყეთ მასწავლებლებს, რომლებიც იგზავნებიან მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად, სისტემატურად ადევნეთ თვალყური მათ აკადემიურ მოსწრებას და შეუქმენით ყველა პირობა წარმატებით სწავლისათვის.

პედაგოგიური ინსტიტუტების დაუსწრებელ განყოფილებებზე მასწავლებელთა ჩარიცხვა იწარმოებს იმავე წესით, როგორც ეს იყო გასულ წელს (დადებითი ნიშნების მიღების შემთხვევაში მასწავლებლები ჩაირიცხებიან კონკურს გარეშე).

პედაგოგიური ინსტიტუტების დაუსწრებელი განყოფილების

ცალკეულ სპეციალობაზე 1964—1965 სასწავლო წლისათვის მიღების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის განცხადება გამოქვეყნებულია გაზეთ „კომუნისტის“ ა/წლის 30 აპრილის ნომერში.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე
ი. ბეროზაშვილი

საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს უმაღლესი და საშუალო
სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის
მოადგილე
შ. რაზმაძე

14 მაისი, 1964 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წ. 14 მაისის ბრძანება № 516

რესპუბლიკის ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებებიდან სტატისტიკური ანგარიშის უხარისხოდ და დაგვიანებით წარმოდგენის შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ მ/წლის 24. მარტს სპეციალურად განიხილა საკითხი „რესპუბლიკის განათლების ორგანოებში სტატისტიკური აღრიცხვიანობის მდგომარეობის შესახებ“ და მთელი პასუხისმგებლობა სტატანგარიშების მაღალხარისხოვნად და დროულად წარმოდგენის შესახებ დააკისრა განათლების განყოფილებათა გამგეებს, მაინც ჯერ კიდევ ამ საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

განათლების განყოფილებათა ერთი ნაწილი მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდება კოლეგიის დადგენილების შესრულებას და კვლავ არღვევს ამა თუ იმ სახის სტატისტიკური აღრიცხვის ფორმების წარმოდგენის ვადებს, ხოლო ზოგჯერ კი წარმოდგენილი მასალა უხარისხოა და საჭიროებს ხელმეორედ დამუშავებას.

მაგ. ქ. ბორჯომის, ქ. ტყიბულის და ქ. წყალტუბოს განათლების განყოფილებებს ნაცვლად 15 აპრილისა 22 აპრილსაც არ ჰქონდათ წარმოდგენილი ფორმა № 2 მუშაკთა ერთდროული აღრიცხვის შესახებ. ქ. გორის, მცხეთისა და საჩხერის რაიონების განათლების განყოფილებებმა 5—10 დღით დააგვიანეს ფორმა № 2 და ფორმა № 1-შ წარმოდგენა.

აღვნიშნავ აგრეთვე, რომ გეგეჭკორის, წალენჯიხის, საგარეჯოს, ლენტეხის, სიღნაღის და თეთრიწყაროს რაიონების განათლების განყოფილებათა მიერ წარმოდგენილი ფორმა № 2 არასწორადაა შედგენილი და საჭიროებს ხელმეორედ დამუშავებას.

ვბრძანებ:

1. სტატანგარიშების წარმოდგენის ვადების დარღვევისათვის ქ. ქ. გორის, ბორჯომის, ტყიბულის, წყალტუბოს და მცხეთისა და საჩხერის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს ი. ჯამბრიშვილს, ბ. მინჯიას, გ. ნასარეიას, გ. საჩკოვს, ა. ლაშხაურს, გ. სადუნიშვილს მიეთითოთ და გაფრთხილებულ იქნან, რომ მსგავსი მდგომარეობის განმეორების შემთხვევაში მკაცრად იქნებიან დასჯილნი.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს სტატგანყოფილებამ (ამხ. ჯ. სვანიძე) პერიოდულად შეამოწმოს სტატანგარიშების დროულად და მაღალხარისხოვნად წარმოდგენის მდგომარეობა და საჭიროების შემთხვევაში შემოიტანოს საკითხი კოლეგიაზე განსახილველად.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 24 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წ. 14 მაისის ბრძანება 518

ქიმიის სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით 1963 წლის 21 დეკემბრის № 1154 და 1964 წლის 19 იანვრის № 26 ბრძანებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

განათლების სამინისტროს 1963 წლის 21 დეკემბრის № 1154 და 1964 წლის 19 იანვრის № 26 ბრძანებებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულების შემოწმების მიზნით შესწავლილ იქნა ქიმიის სწავლების მდგომარეობა გორის 1-ლ და მე-4, რუსთავის მე-15, მე-17, თბილისის 87-ე, 89-ე მე-4, მე-6 და 33-ე (რუსულ) სკოლებში.

აღმოჩნდა, რომ განათლების განყოფილებებს ჯეროვანი მუშაობა ჩაუტარებიათ, შეუსწავლიათ სკოლებში ქიმიის სწავლებისა და სასწავლო-მატერიალური ბაზების მდგომარეობა და შესაბამისად დაუსახავთ კონკრეტული ღონისძიებანი საგნის სწავლების გასაუმჯობესებლად.

პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე განხილულია სკკპ ცკ 1963 წლის დეკემბრისა და 1964 წლის თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებანი. თბილისის და ქ. რუსთავის მასწავლებელთა თათბირებზე მოსმენილია მოხსენებები „პლენუმის გადაწყვეტილებანი და სკოლების ამოცანები". ამასთან დაკავშირებით განათლების განყოფილებების მიერ შესწავლილია ქიმიის სწავლების მდგომარეობა ყველა შესწავლილ სკოლაში და გამორკვევის შედეგები განხილულია აღმასკომისა ან განათლების საბჭოს სხდომაზე.

რიგ სკოლებში (თბილისის, რუსთავის) ჩატარებულია თეორიული კონფერენციები თემებზე „ქიმია სახალხო მეურნეობაში", „ქიმია კომუნიზმის მშენებლობის საქმეში" და სხვ.

რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის დადგენილებით დასახულ კონკრეტულ ღონისძიებებიდან აღსანიშნავია საწარმოო ტექნოლოგიური პროცესების შესწავლის მიზნით ქიმიის მასწავლებელთა სემინარების ჩატარება მეტალურგიული, კოქსაქიმიური

და ცემენტის ქარხნების ინჟინერ-ტექნოლოგების ხელმძღვანელობით.

ეროვნული

გატარებულ ღონისძიებათა შედეგად იგრძნობა პასუხისმგებლობის გაძლიერება ქიმიის სწავლებისათვის მატერიალური ბაზების შევსებისა და მასწავლებელთა მიერ სწავლების პროცესის უკეთ წარმართვის საქმეში. გორის პირველ საშუალო სკოლას შეუძენია 152 მანეთის რეაქტივები, ხელსაწყოები და ქიმიური ჭურჭელი; თბილისის 87-ე საშუალო სკოლას—100 მანეთის; თბილისის მე-4, რუსთავის მე-17 სკოლები კი სრულად არიან უზრუნველყოფილი ყველა სახის მოწყობილობითა და დიდაქტიკური მასალით.

შესწავლილი სკოლების მასწავლებლები ქიმიის სწავლებას უკავშირებენ საყოფაცხოვრებო საკითხებს, სათანადო ყურადღებას აქცევენ მიღებული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკაში, სისტემატურად ატარებენ საწარმოო შინაარსის ამოცანების ამოხსნაზე ვარჯიშს. მასწავლებელთა უმრავლესობა გულდასმით ემზადება გაკვეთილებისათვის, ფართოდ იყენებს ქიმიურ ექსპერიმენტს რუსთავის მე-17 სკოლა (მასწავლებელი ნ. პავლოვა), თბილისის მე-4 სკოლა (მასწავლებელი კ. ჩირგაძე), 33-ე სკოლა (მასწავლებელი მ. ბალაგიანი) და სხვა. გორის პირველ სკოლაში მასწ. ქ. უხურგუნაშვილი გაკვეთილებს ატარებს მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით; ამავე სკოლის მოსწავლეთა მიერ დამზადებულია თვალსაჩინო ხელსაწყოები, რომლებსაც იყენებენ გაკვეთილებზე; სკოლებში გამოფენილია საექსკურსიო ობიექტებიდან მოტანილი მასალები-ექსპონატები. საწარმოო პროცესების გაცნობის მიზნით ზოგიერთ სკოლაში ატარებენ სასწავლო კინოფილმების დემონსტრირებას.

სათანადო ყურადღება ექცევა საწარმოო ექსკურსიების მოწყობას.

ჩატარებულია ექსკურსიები პლასტმასების, მეტალურგიულ, საკონსერვო, მინის, კერამიკულ ქარხნებში და ქსოვილების ღებვის საამქროში (თბილისის, რუსთავის, გორის სკოლები).

კლასგარეშე მუშაობა კარგად არის ორგანიზებული თბილისის 33-ე საშუალო სკოლაში; ამ სკოლის ქიმიის წრის მოსწავლეთა მიერ დამზადებული ექსპონატები მოწონებას იმსახურებს.

მიუხედავად აღნიშნული მიღწევებისა, ქიმიის სწავლების საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს. მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები ქიმიაში ისწავლება ისე, რომ არაა დაკავშირებული პრაქტიკასთან, სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგთან; ხშირად პროგრამით გათვალისწინებული საწარმოო ხასიათის ექსპერიმენტები არ ტარდება, ზოგჯერ საჭირო

სასწავლო-მატერიალური ბაზის უქონლობისა, ხოლო ზოგჯერ თვით მასწავლებლების საამისოდ მოუმზადებლობის გამო და ამდენად ადგილი აქვს სქემატიზმს სწავლებაში; საწარმოო ხასიათის ექსკურსიები იშვიათად ტარდება, ანდა ჩატარებული ექსკურსია ხშირად უშედეგოდ რჩება, არ ხდება მისი გაანალიზება და შედეგების დამუშავება; შესასწავლი თემები იშვიათად უკავშირდება მოსწავლეებში მატერიალისტური მსოფლმხედველობის გამომუშავებასა და ათეისტური აღზრდის საქმეს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განათლების განყოფილებებმა:

ა) უზრუნველყონ ქიმიის სწავლების საქმეში განათლების სამინისტროს 1963 წლის 21 დეკემბრის № 1154 და 1964 წლის 19 იანვრის № 26 ბრძანებებში დასახულ ღონისძიებების განუხრელად განხორციელება და გააძლიერონ ამ მიმართულებით კონტროლი და დახმარება სკოლებისადმი;

ბ) სისტემატურად შეისწავლონ ქიმიის სწავლების მდგომარეობა სკოლებში და დასახონ ქმედითი ღონისძიებანი საგნის სწავლების გასაუმჯობესებლად; ახალი სასწავლო წლისათვის გადასინჯონ ქიმიის მასწავლებელთა შემადგენლობა, შეცვალონ სუსტად მომუშავე პირები, არსებული წესის დაცვით, ხოლო ისინი, ვინც საჭიროებს დახმარებას, მიავლინონ მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე;

გ) სკოლის ხელმძღვანელებთან ერთად სისტემატურად იზრუნონ ქიმიის ლაბორატორიების საჭირო ხელსაწყო-იარაღებით და რეაქტივებით შევსებაზე; უზრუნველყონ საშუალო სკოლების ქიმიის ლაბორატორიებში წყალსადენის გაყვანა, სპეციალური სადემონსტრაციო მაგიდისა და ამწოვი კარადის დადგმა;

დ) დასაყრდენ სკოლებში მოაწყონ ქიმიის მასწავლებელთა გაერთიანებული ლაბორატორიული მეცადინეობა საკვანძო საკითხებზე ცდების ჩატარებისა და ახალი ხელსაწყო-იარაღების გამოყენებაზე;

ვ) ქიმიის ლაბორანტებად სკოლებში აიყვანონ ისეთი პირები, რომლებიც თავისი მომზადებით შეძლებენ ამ მოვალეობის შესრულებას და საჭირო დახმარებას გაუწევენ ქიმიის მასწავლებლებს საექსპერიმენტო მუშაობაში.

2. ქიმიის მასწავლებლებმა:

ა) გარდაქმნან ქიმიის სწავლება იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის დეკემბრის და 1964 წლის თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებებითაა მო-

ცემული; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მოსწავლეთა მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება-დაუფლების საქმეს;

ბ) სისტემატურად იზრუნონ საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე; ბეჯითად მოემზადონ გაკვეთილებისათვის; მიაღწიონ გაკვეთილების სრულყოფას და ჩასატარებელი ექსპერიმენტების უნაკლოდ შესრულებას; გაამახვილონ ყურადღება მოსწავლეთა გააქტიურებაზე და მათ მიერ შესწავლილი მასალის მტკიცედ შეთვისებაზე;

გ) სათანადო თვალსაჩინოების გამოყენების საფუძველზე სისტემატურად გააშუქონ ქიმიის როლი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარების საქმეში; შესასწავლი მასალა დაუკავშირონ ქიმიური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის საკითხებს;

დ) მეტი ადგილი დაუთმონ საწარმოო პროცესების ამსახველი სასწავლო კინოფილმების დემონსტრირებას;

ე) შემოიღონ ლაბორატორიის წიგნი, რომელშიც აღინიშნება თითოეულ კლასში ჩატარებული ცდები და მათ შესასრულებლად საჭირო ხელსაწყოები, რეაქტივები და სხვა თვალსაჩინო მასალები;

ვ) იზრუნონ იმისათვის, რომ მოსწავლეები მასიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ქიმიის ოლიმპიადებში; გაშალონ ექსპერიმენტული ხასიათის მუშაობა ნორჩ ქიმიკოსთა წრეებში და სათანადო ყურადღება მიაქციონ საწარმოო დანადგარების მოდელირების საქმესა და მარტივი სახის ანალიზების შესრულებას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПРИКАЗ

Министерства просвещения Грузинской ССР

№ 585

от 4 июня 1964 года

О ПОСТАНОВКЕ ПРЕПОДОВАНИЯ ХИМИИ В 54-ОЙ И 55-ОЙ СРЕДНИХ ШКОЛАХ И В ВОСЬМИЛЕТНЕЙ ШКОЛЕ ПРОДЛЕННОГО ДНЯ № 1 ГОР. ТБИЛИСИ

В „Учительской газете" № 50 от 25 апреля 1964 года было опубликовано письмо заведующего кафедрой химии Тбилисского педагогического института им. Пушкина профессора А. Гахокидзе „Где проводить занятия".

В письмо отмечается, что в 54-ой средней школе химического кабинета нет, а в 55-ой—хотя и имеется кабинет, но в нем кроме пустых столов, схем и таблиц ничего нет; в 1-ой школе продленного дня—общий кабинет химии и биологии, а учительница химии М. Цховребашвили плохо владеет предметом.

Изучение на месте фактов, приведенных в письме, показало: кабинет химии 54-ой средней школы занимает две комнаты (лабораторная и препараторская). В лаборатории стоят 10 трехместных столов, приспособленных для проведения лабораторных занятий с учащимися, демонстрационный стол, вытяжной шкаф. Все уроки химии проводятся в лаборатории. Под препараторскую отведена одна комната рядом с лабораторией; в ней стоит стол и несколько шкафов для хранения аппаратуры, химической посуды, реактивов и др. Наличие их вполне обеспечивает проведение демонстрационных и лабораторных занятий с учащимся по химии.

В 55-ой средней школе кабинет химии также состоит из двух комнат—лаборатории и препараторской. В лаборатории имеется 20 двухместных столов для учащихся, демонстрационный

стол, два лабораторных стола с полками, на которых расставлены растворы реактивов; в нижнем отделении столов хранятся наглядные пособия.

При кабинетах химии в обоих школах работают лаборанты.

В 55-ой школе кружковцами изготовлен стенд, на котором представлены образцы минеральных удобрений и показатели плана перспективного развития химической промышленности.

Восьмилетняя школа продленного дня № 1 работает второй год. Уроки биологии и химии проводятся здесь в одном кабинете. Обстановка кабинета соответствует требованиям восьмилетней школы. Преподавательница химии Цховребашвили, окончившая педагогический институт им. Пушкина, работает второй год. Она действительно имеет недочеты в работе, за что, в результате проверки школы в феврале с. г., ей было указано.

Отмечаю, что учебно-материальная база и обстановка кабинетов химии в указанных школах дают возможность преподования химии согласно программным требованиям.

ПРИКАЗЫВАЮ:

1. Директорам 54-ой и 55-ой средних школ, восьмилетней школы продленного дня № 1 и учителям химии неуклонно руководствоваться приказом Министерства просвещения Грузинской ССР № 26 от 13 января 1964 года „О мероприятиях по улучшению преподования химии в общеобразовательных средних и восьмилетних школах".

2. Директору восьмилетней школы продленного дня № 1 тов. Шерезадашвили направить учительницу химии М. Цховребашвили на курсы усовершенствования учителей.

3. Заведующему ТОНО (тов- Эгадзе Т. Н.) в октябре-ноябре 1964 года изучить постановку преподования химии в 54-ой и 55-ой средних школах, восьмилетней школе продленного дня № 1 и о результатах доложить коллегии Министерства просвещения.

Министр
просвещения Грузинской ССР
Т. Лашкарашвили

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

გახანგრძლივებული დღის სკოლის შესახებ

I. სკოლის მიზნები და ამოცანები

გახანგრძლივებული დღის სკოლა იქმნება ბავშვთა და მოზარდთა საზოგადოებრივი აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისა და ამ საქმეში ოჯახისათვის დახმარების გაძლიერების მიზნით.

გახანგრძლივებული დღის სკოლა, საერთო საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარებასთან ერთად, ხელსაყრელ პირობებს ქმნის სწავლების ორგანიზაციის, მოსწავლეთა ჯანმრთელობის განმტკიცების, სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფისათვის.

გახანგრძლივებული დღის სკოლის მოსწავლეები მთელი დღის განმავლობაში (მეცადინეობის დაწყებიდან საღამოს 6-8 საათამდე) მასწავლებლებისა და აღმზრდელების ზედამხედველობისა და ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებიან.

II. გახანგრძლივებული დღის სკოლის ორგანიზაციის წესი და სტრუქტურა

2. გახანგრძლივებული დღის სკოლა იხსნება ქალაქებში, დაბებსა და სოფელ ადგილებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის დადგენილებით ამ სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის დადგენილი გეგმის ფარგლებში.

3. გახანგრძლივებული დღის სკოლა, როგორც წესი, იხსნება დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების I—VIII კლასე-

ბისათვის იმავე სასკოლო შენობაში, მაგრამ იმ პირობით, თუ ოგი არ გამოიწვევს მეცადინეობის ცვლიანობის გადიდებას.

სასწავლო მეცადინეობა გახანგრძლივებული დღის სკოლებში მხოლოდ ერთ ცვლაში ეწყობა.

ერთკომპლექტიანი და ორკომპლექტიანი დაწყებითი სკოლები, აგრეთვე დაწყებითი და რვაწლიანი სკოლები, რომლებშიც 100-ზე ნაკლები მოსწავლე ირიცხება, გახანგრძლივებული დღის სკოლად არ გადაკეთდება.

4. გახანგრძლივებული დღის სკოლა იმყოფება ქალაქის ან რაიონის განათლების განყოფილების გამგებლობაში.

5. გახანგრძლივებული დღის სკოლაში პირველ რიგში მიიღებიან ის ბავშვები, რომელთა მშობლები მუშაობენ.

6. მოსწავლეთა ჩარიცხვა გახანგრძლივებული დღის სკოლაში წარმოებს მშობლების ან მათი შემცვლელი პირების წერილობითი განცხადებით. განცხადებები ბავშვთა სკოლაში ჩარიცხვის შესახებ მიიღება 1-ლ ივნისიდან 15 აგვისტომდე; ჩარიცხვა წარმოებს 25 აგვისტომდე; გახანგრძლივებული დღის სკოლაში ბავშვთა ჩარიცხვის განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს რვაწლიანი სკოლის დებულების 36-ე პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები.

შენიშვნა: გამონაკლის შემთხვევაში გახანგრძლივებული დღის სკოლაში მოსწავლეთა მიღება შეიძლება დაშვებულ იქნას სასწავლო წლის მანძილზე; სკოლაში მიღების შესახებ განცხადებებს იხილავს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება.

7. გახანგრძლივებული დღის სკოლის ჯგუფების დატვირთვა განისაზღვრება 30—40 მოსწავლით თითოეულ ჯგუფში. თუ კლასში 30-ზე ნაკლები მოსწავლეა, ჯგუფი რამდენიმე კლასის მოსწავლეთაგან კომპლექტდება.

8. გახანგრძლივებული დღის სკოლაში მოსწავლეთათვის მშობლების ხარჯზე ეწყობა ორჯერადი ცხელი საუზმე „გახანგრძლივებული დღის სკოლების ორგანიზაციის შესახებ“ სსრკ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 15 თებერვლის № 182 დადგენილების საფუძველზე.

გახანგრძლივებულ დღის სკოლაში ბავშვების კვების გადასახადი მშობლებს შეაქვთ სკოლის სპეციალური სახსრების ანგარიშზე რაიონის (ქალაქის) აღმასკომის მიერ დადგენილ ვადებში. მოსწავლეთა კვების გადასახადის თავის დროზე შეტანის კონტროლს ახორციელებს სკოლის დირექტორი.

მშრომელთა დეპუტატების ქალაქებისა და რაიონების საბჭოების აღმასკომების გადაწვეტილებით ხელმოკლე ოჯახების ბავშვები, გახანგრძლივებული დღის სკოლის მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 25 პროცენტამდე, შეიძლება გათავისუფლდნენ კვების გადასახადიდან, ამათგან 10 % მთლიანად და 15 % სანახევროდ.

9. ხელმოკლე ბავშვებისათვის მატერიალური დახმარების გასაწევად გახანგრძლივებულ დღის სკოლაში იქმნება საყოველთაო სწავლების ფონდი, ამ ფონდის დებულებით დადგენილი წესის მიხედვით.

10. გახანგრძლივებული დღის სკოლის შენახვისა და აგრეთვე მოსწავლეებისათვის კვების შეღავათების მიცემის ხარჯები გაწეულ უნდა იქნას საქართველოს სსრ, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის ხარჯზე.

11. შეფი სამრეწველო საწარმოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები ან დაწესებულებები, აგრეთვე პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციები გახანგრძლივებული დღის სკოლას უწევენ დახმარებას აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციაში მოსწავლეთა შრომით მომზადებასა და სკოლის მოწყობაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 15 თებერვლის № 182 დადგენილების შესაბამისად რჩევა მიეცათ კოლმეურნეობებს მონაწილეობა მიიღონ გახანგრძლივებული დღის სკოლის ორგანიზაციაში, რომელშიც კოლმეურნეთა შვილები ისწავლიან, და აგრეთვე ამ სკოლების დამატებითი მომსახურე პერსონალის (ადმინისტრაციული და აღმზრდელთა პერსონალის გარდა) შენახვისა და მოსწავლეთა კვებისათვის საჭირო ხარჯების გაღების საქმეში.

III. სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშობა

12. სწავლება და აღზრდა გახანგრძლივებული დღის სკოლაში ხორციელდება საქართველოს სსრ რვაწლიანი სკოლის დებულების შესაბამისად.

13 გახანგრძლივებული დღის სკოლა მოსწავლეთა საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობას, თვითმომსახურებას, საშინაო დავალებათა შესრულებას, კლასგარეშე საალმზრდელო მუშაობას ყველა შესაძლო შემთხვევაში აწყობს სუფთა ჰაერზე.

გახანგრძლივებული დღის სკოლები მჭიდრო კავშირს ამყარებენ სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებთან.

14. გახანგრძლივებულ დღის სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესების, ნიჭისა და უნარის განვითარებას როგორც სასწავლო მუშაობაში, ისე კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებათა გატარების დროს.

15. სასწავლო წლის ხანგრძლიობა და სტრუქტურა, არდადეგების ვადები და გაკვეთილების ხანგრძლიობა გახანგრძლივებული დღის სკოლაში ისეთივეა, როგორც რვაწლიან სკოლებში.

დღის რეჟიმი გახანგრძლივებული დღის სკოლაში დგინდება პედაგოგიური საბჭოს მიერ ადგილობრივი პირობების შესაბამისად.

I-II კლასების მოსწავლეებისა და სუსტი ჯანმრთელობის ბავშვებისათვის სავალდებულო წესით ეწყობა დღის ძილი.

16. მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანა, გამოცდების ჩატარება, VIII კლასის მოსწავლეთა გამოშვება და სკოლის დამთავრების შესახებ დოკუმენტების გაცემა გახანგრძლივებული დღის სკოლაში ხორციელდება რვაწლიანი სკოლისათვის დადგენილი წესის მიხედვით.

IV. პედაგოგიური პერსონალი და სკოლის სხვა მუშაკები

17. გახანგრძლივებული დღის სკოლის ადმინისტრაციულ-პედაგოგიური, სასწავლო-დამხმარე და მომსახურე პერსონალის შტატები დგინდება დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების მოქმედი ტიპობრივი შტატებით და სკკპ ცკ-ის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 15 თებერვლის № 182 დადგენილებით დამტკიცებული დამატებითი შტატების შესაბამისად.

18. გახანგრძლივებული დღის სკოლის დირექტორის, სასწავლო ნაწილის გამგის, მასწავლებლების, სასწავლო სახელოსნოების ოსტატების, დირექტორის თანაშემწისა სამეურნეო ნაწილში, კლასის ხელმძღვანელების, უფროსი პიონერხელმძღვანელის, სასწავლო კაბინეტების გამგეებისა და ბიბლიოთეკარის დანიშვნის წესი და მოვალეობანი ისეთივეა, როგორც რვაწლიან სკოლაში და ხორციელდება რვაწლიანი სკოლის დებულების შესაბამისად.

19. არასასწავლო დროს მოსწავლეებთან ყოველდღიური აღმზრდელობითი მუშაობისათვის გახანგრძლივებული დღის სკოლაში დგინდება აღმზრდელთა შტატი 1.5 ერთეულის ანგარიშით I—IV კლასების მოსწავლეთა ერთ ჯგუფზე და I ერთეულისა—V—VIII

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასების მოსწავლეთა ერთ ჯგუფზე (ჯგუფში 30-40 მოსწავლის შემადგენლობით).

აღმზრდელებს ნიშნავს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება შესაბამისი პედაგოგიური განათლების მქონე პირთაგან. აღმზრდელები შეირჩევა იმ ანგარიშით, რომ თითოეულ მათგანს შეეძლოს უხელმძღვანელოს კლასგარეშე მუშაობის რომელიმე სახეს.

აღმზრდელთა სამუშაო ხელფასის განაკვეთები დგინდება სსრკ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 29 ნოემბრის № 5010 დადგენილების შესაბამისად დღეში ხუთი საათის საალმზრდელო მუშაობისათვის.

აღმზრდელებზე ვრცელდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთათვის დაწესებული შეღავათები და უპირატესობანი, საპენსიო უზრუნველყოფა და მორიგი შვებულება.

აღმზრდელთა მოვალეობას შეადგენს მოსწავლეებთან სხვადასხვაგვარი კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებათა ჩატარება არასასწავლო დროს, აგრეთვე მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაცია საშინაო სასწავლო დავალებათა შესასრულებლად, ამ მუშაობაზე მეთვალყურეობა და აუცილებელი დახმარების აღმოჩენა მოსწავლეებისათვის.

აღმზრდელები პასუხისმგებელნი არიან არასასწავლო დროს სკოლაში დადგენილი დღის რეჟიმისა და შინაგანწესის წესების დაცვისათვის, მოსწავლეთა გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გატარებისა და ბავშვებთან მუშაობის დროს გამოყენებული მატერიალური ფასეულობისა და მოწყობილობის სწორად სარგებლობისათვის.

20. სკოლის სამედიცინო მომსახურეობას ახორციელებს რაიონის (ქალაქის) ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება. სამედიცინო მუშაკები, რომლებიც გახანგრძლივებული დღის სკოლას ემსახურებიან, ატარებენ იქ ბავშვთა გამაჯანსაღებელ და სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ახორციელებენ მოსწავლეთა კვების ხარისხზე კონტროლს და სკოლის დირექტორთან და მასწავლებლებთან ერთად ატარებენ სანიტარულ-ჰიგიენურ ღონისძიებებს, თავიანთ მუშაობაში ხელმძღვანელობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მითითებებით.

V. პედაგოგიური საბჭო

21. მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ძირითადი საკითხების განსახილველად და გადასაწყვეტად გახანგრძლივებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღის სკოლაში იქმნება პედაგოგიური საბჭო, რომელიც მუშაობს რვაწლიანი სკოლის დებულების შესაბამისად.

გახანგრძლივებული დღის სკოლის პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში, რვაწლიანი სკოლის დებულების 33-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ პირებს გარდა, შედიან აგრეთვე აღმზრდელები და დირექტორის თანაშემწე სამეურნეო ნაწილში.

VI. მშობელთა კომიტეტი

22. გახანგრძლივებული დღის სკოლაში იქმნება მშობელთა კომიტეტი, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს რვაწლიანი სკოლის დებულების 34-ე პარაგრაფის შესაბამისად.

გახანგრძლივებული დღის სკოლის მშობელთა კომიტეტს მუდმივი კავშირი აქვს სახლმმართველობებთან არსებულ ხელშემწყობ კომისიებთან, სკოლისგარეშე და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

VIII. მოსწავლეები

23. მოსწავლეთა მიღება გახანგრძლივებული დღის სკოლაში წარმოებს უგამოცდოდ.

24. მოსწავლეთა მოვალეობანი, ნახალისებისა და დასჯის ღონისძიებათა გამოყენება, მოსწავლეთა კომიტეტის ორგანიზაცია განისაზღვრება რვაწლიანი სკოლის დებულების შესაბამისად.

25. გახანგრძლივებული დღის სკოლაში იქმნება პიონერთა ორგანიზაცია, ხოლო თუ მოსწავლეთა შორის კომკავშირლები არიან, სკოლაში იქმნება ალკკ პირველადი ორგანიზაცია.

სკოლის პედაგოგიური კოლექტივის მნიშვნელოვანი ამოცანაა ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოს პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს პიონერებისა და კომკავშირლების თვითმოქმედებისა და ინიციატივის განვითარების საქმეში.

VIII. სასწავლო-მატერიალური ბაზა

26. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და მოსწავლეთა შრომითი საქმიანობის ორგანიზაციისათვის გახანგრძლივებული დღის სკოლის, რვაწლიანი სკოლის დებულებით გათვალისწინებული შენობების გარდა უნდა ჰქონდეს შენობები მოსწავლეთა კვებისა და დასვენებისათვის, აგრეთვე I-II კლასებისა და სუსტი ჯანმრთელობის ბავშვთა დღის ძილისათვის.

IX. ფინანსირება და ანგარიშგება

27. გახანგრძლივებული დღის სკოლის დაფინანსება ხდება რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების ბიუჯეტით დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად და მას უფლება აქვს იქონიოს სპეციალური სახსრების ანგარიში, რომელიც იხსნება დადგენილი წესის მიხედვით.

28. სკოლა აწარმოებს საქმისწარმოებას დადგენილი ფორმის მიხედვით, ფინანსიურსა და სტატისტიკურ ანგარიშგებას და თავისი მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებას.

29. გახანგრძლივებული დღის სკოლა იურიდიული პირია და აქვს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი ნიმუშის ბეჭედი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი
6 ივნისი, 1964 წ.

დებულება

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული ლოგოპედური პუნქტების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. ლოგოპედური პუნქტები ექვემდებარება საქართველოს სსრ, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროებს და ხამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას და იმყოფება მათ ბიუჯეტზე.

2. ლოგოპედური პუნქტების ამოცანაა:

ა) მოსწავლეთა მეტყველების სხვადასხვა სახის დეფექტების გამოსწორება (გამოთქმის ნაკლი, აგრაფია, ალექსია, ენაბლუობა და სხვ);

ბ) ლოგოპედური ცოდნის პროპაგანდა როგორც მასწავლებელთა, ისე მოსახლეობის შორის (მოხსენებები და საუბრები მეტყველების ნაკლის გამოსწორებისა და მისი თავიდან აცილების შესახებ, ადგილობრივ პრესაში სტატიების გამოქვეყნება, რადიოთი ლექციების წაკითვა და სხვ.);

3. მეტყველების ნაკლის გამოსწორება ლოგოპედურ პუნქტზე წარმოებს უფასოდ.

II. ლოგოპედური მუშაობის ორგანიზაცია

1. ლოგოპედურ პუნქტში მიიღებიან მეტყველებაში სხვადასხვა დეფექტის მქონე ბავშვები, რომლებიც გამოვლინებული არიან ლოგოპედის მიერ მოსწავლეთა შემოწმების შედეგად, აგრეთვე სკოლის მასწავლებელთა და რაიონული პოლიკლინიკის ექიმთა

მიმართვით მშობელთა განცხადების საფუძველზე. ლოგოპედურ პუნქტში მიიღებიან აგრეთვე მასობრივი სკოლების ის მოსწავლეებიც, რომლებსაც არასწორი მეტყველება აქვთ დაქვეითებული სმენის შედეგად.

მეტყველებაში ნაკლის მქონე მოსწავლეები აღირიცხებიან სპეციალურ ჟურნალში (ფორმა № 1).

2. მეცადინეობა ლოგოპედურ პუნქტში ტარდება საკლასო მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს.

3. ლოგოპედურ პუნქტში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ძირითად ფორმად მეტყველების ნაკლის გამოსასწორებლად ითვლება ჯგუფური მეცადინეობა. მეცადინეობა მოსწავლეთა თითოეულ ჯგუფთან წარმოებს კვირაში სამჯერ (დღეგამოშვებით). ლოგოპედურ პუნქტში ერთდროულად მეცადინეობს 30-40 მოსწავლე. მოსწავლეთა რეგისტრაცია წარმოებს სპეციალურ ჟურნალში (ფორმა № 3).

4. ჯგუფური მეცადინეობისათვის შეირჩევა მეტყველების შედარებით ერთგვარი ნაკლის მქონე და თანაბარი ასაკის მოსწავლეები. ჯგუფები კომპლექტდება 6-8 მოსწავლისაგან.

5. ლოგოპედური მეცადინეობის ხანგრძლიობა თითოეული ჯგუფისათვის თითო აკადემიური საათია.

ლოგოპედური მეცადინეობის ცხრილი უნდა გამოიკრას თვალსაჩინო ადგილზე და დაყვანილ უნდა იქნეს მოსწავლეებსა და კლასის ხელმძღვანელებამდე. შესვენება ჯგუფების მეცადინეობებს შორის 10-15 წუთია.

საჭირო შემთხვევაში ცალკეულ მოსწავლეებთან ტარდება ინდივიდუალური მეცადინეობა 15-20 წუთის ხანგრძლიობით.

6. მეტყველების ნაკლის გამოსწორების მეთოდები, რომლებსაც ლოგოპედი მასწავლებელი იყენებს, მიმართულ უნდა იყოს მოსწავლეებში აქტიური დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევის გამომუშავებისაკენ მეტყველებაში არსებული ნაკლის დასაძლევად.

7. სასწავლო მასალა (სიტყვები ტექსტი, სურათები და ა. შ.), რომელიც გამოიყენება მეტყველების გამოსასწორებლად, უნდა პასუხობდეს სასწავლო აღმზრდელობით ამოცანებს, შეესაბამებოდეს მოსწავლის ზოგად განათლებას და მის ასაკს.

8. ლოგოპედ-მასწავლებელი ადგენს წლიურ სამუშაო გეგმას, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს ლოგოპედური მეცადინეობის ყველა სახე.

9. ზოგადი გეგმის გარდა ლოგოპედი ადგენს სამუშაო გეგმას ცალკეული ჯგუფისათვის და იმ მოსწავლეთათვის, რომლებთანაც ატარებს ინდივიდუალურ მეცადინეობას.

10. ლოგოპედური პუნქტის პედაგოგი ლოგოპედურ პუნქტში მიღებულ თითოეულ მოსწავლეზე ავსებს მეტყველების ... (ფორმა № 2).

11. მეცადინეობაზე მოსწავლეთა სისტემატურ დასწრებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ლოგოპედ-მასწავლებელს, კლასის ხელმძღვანელს და იმ სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს, რომელშიც მოთავსებულია ლოგოპედური პუნქტი.

12. ლოგოპედურ პუნქტში მეცადინეობის დამთავრების შემდეგ ლოგოპედ-მასწავლებელი კლასის ხელმძღვანელთან ერთად ადგენს წერილობით დასკვნას მოსწავლის მეტყველების მდგომარეობის შესახებ. ეს დასკვნა ეცნობება მშობლებს, დასკვნის ასლი კი გადაეცემა სკოლას, რომელშიც მოსწავლე სწავლობს.

III. მოსწავლეები

4. მოსწავლეთა მიღება ლოგოპედურ პუნქტში იწყება სექტემბრიდან და გრძელდება მთელ სასწავლო წლის მანძილზე, ადგილის განთავისუფლების შემთხვევაში. მოსწავლეთა გამოშვება წარმოებს მეტყველების ნაკლოვანებათა გამოსწორების შემდეგ.

2. თითოეული მოსწავლე დადის ლოგოპედურ პუნქტში მეცადინეობისათვის დადგენილ დღეებში.

3. ლოგოპედურ პუნქტში მიღებული მოსწავლეებისათვის მეცადინეობაზე დასწრება და სკოლის საერთო განაწესის დაცვა სავალდებულოა.

4. მეტყველებადაზიანებული მოსწავლეები საჭიროების მიხედვით იგზავნებიან რაიონის პოლიკლინიკის ექიმ-სპეციალისტებთან გამოკვლევაზე (ნერვოპათოლოგებთან, ფსიქონერვოლოგებთან, ოტოლარინგოლოგებთან). ექიმ-სპეციალისტთა დასკვნები ინახება ლოგოპედურ პუნქტში.

IV. ლოგოპედ-მასწავლებელი

1. ლოგოპედ-მასწავლებლად ინიშნებიან უმაღლესი, დეფექტოლოგიური ან ზოგადი პედაგოგიური განათლების მქონე პირები, რომელთათვის ლოგოპედთა დახელოვნების კურსების გავლა სავალდებულოა.

2. ლოგოპედ-მასწავლებლები ინიშნებიან, გადაიყვანებიან და თავისუფლდებიან საქართველოს სსრ, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროების და სამხრეთ ოსეთის ა/ო განათლების განყოფილების მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ლოგოპედ-მასწავლებელი პასუხისმგებელია ლოგოპედური პუნქტის მოწყობასა და სამუშაოს ჩატარებაზე.

4. ლოგოპედ-მასწავლებლის ყოველდღიური მუშაობა განისაზღვრება სამი აკადემიური საათით. გაკვეთილებისათვის მომზადება, გაკვეთილებზე დასწრება, მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და ლოგოპედური პუნქტის სხვა დოკუმენტაციის წარმოება, რვეულების გასწორება, პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე დასწრება არ შედის აღნიშნულ დროში.

5. ლოგოპედ-მასწავლებლის მოვალეობას შეადგენს:

ა) მეტყველებაში ნაკლოვანების მქონე მოსწავლეთა შერჩევა ლოგოპედურ პუნქტში; სამეცადინო დღეებისა და მეცადინეობის ხანგრძლიობის დადგენა;

ბ) მეტყველებაში ნაკლოვანების მქონე მოსწავლეებთან სისტემატური მეცადინეობის ჩატარება;

გ) სისტემატური კავშირის დამყარება სკოლის სასწავლო ნაწილის გამგესთან, ლოგოპედური პუნქტის მოსწავლეების კლასის ხელმძღვანელებთან მუშაობის სისტემის მეთოდებისა და ხერხების ურთიერგაცნობის მიზნით, აგრეთვე მუშაობაში ერთიანი მიმართულების გამომუშავებისათვის მეტყველებაში ნაკლის მქონე მოსწავლეებთან; ლოგოპედ-მასწავლებელს უფლება აქვს დაესწროს სკოლის ყველა კლასის გაკვეთილებს;

დ) მოსწავლეებზე კომპლექსური ზემოქმედების უზრუნველსაყოფად სისტემატური კავშირის დამყარება რაიონის პოლიკლინიკიდან მომაგრებულ სპეციალისტ ექიმებთან და ბავშვთა პოლიკლინიკის ლოგოპედებთან;

ე) მეტყველებაში დეფექტის მქონე ბავშვთა გამოვლინების მიზნით თავისი რაიონის საბავშვო ბაღების უფროსი ჯგუფების აღსაზრდელთა შემოწმება და მეტყველების გამოსასწორებლად მათთან მუშაობის ჩატარება ზამთრის და გაზაფხულის არდადეგების პერიოდში, აგრეთვე ზაფხულის თვეებში, როდესაც სკოლაში მეცადინეობა არ არის (ლოგოპედის შვებულების პერიოდის გარდა).

6. უმაღლესი პედაგოგიური (დეფექტოლოგიური) განათლების მქონე ლოგოპედ-მასწავლებლებზე, რომლებიც მუშაობენ ლოგოპედურ პუნქტებში და ბავშვთა პოლიკლინიკებში, ვრცელდება ხელფასის ის განაკვეთი, რომელიც დადგენილია სსრკ მინისტრთა საბჭოს და სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 10 თებერვლის № 245 დადგენილებით საშუალო სკოლის VIII-X კლასის მშობლიური ენის, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის მასწავლებლე-

ბისათვის, აგრეთვე ყველა უფლება და უპირატესობა, რომელიც დადგენილია საშუალო სკოლის მასწავლებელთათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ლოგოპედ-მასწავლებლებს, რომლებიც მუშაობენ საქართველოს სსრ განათლების სისტემაში, უფლება ენიჭებათ:

ა) მიიღონ ხელფასის პერიოდული მომატება და წელთა დამსახურების პენსია საშუალო სკოლის მასწავლებელთა თანაბრად;

ბ) მიიღონ 48 დღის ხანგრძლიობის ყოველწლიური შვებულება.

V. ლოგოპედურ მუშაობაზე კონტროლი და ხელმძღვანელობა

1. ლოგოპედ-მასწავლებელთა მუშაობას ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევენ საქართველოს სსრ, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ლოგოპედურ პუნქტში სწავლების მდგომარეობის სისტემატური შემოწმება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ლოგოპედური პუნქტის შემადგენლობასა და მეტყველებაში ნაკლის მქონე მოსწავლეებთან ლოგოპედური პუნქტების სასწავლო-თვალსაჩინო მასალებით უზრუნველყოფას, მათ გამოყენებას, ლოგოპედური პუნქტის დოკუმენტაციის გაფორმებას გამოშვებულ მოსწავლეთა რაოდენობისა და მათი მეტყველების მდგომარეობის აღნიშვნით.

2. ლოგოპედური პუნქტებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების განლაგების მიხედვით რაიონის, ქალაქის მეთოდურ კაბინეტებსა ან მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებთან იქმნება ლოგოპედ-მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანებანი.

3. ხელმძღვანელობა ლოგოპედ-მასწავლებელთა მეთოდურ გაერთიანებებზე ეკისრება ერთ-ერთ გამოცდილ ლოგოპედს, რომელიც დაინიშნება განათლების განყოფილების მიერ.

ლოგოპედ-მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანების ამოცანას შეადგენს:

ა) ორგანიზაციულ და მეთოდურ საკითხებში ხელმძღვანელობის გაწევა;

ბ) ლოგოპედთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა, გამოცდილების გაზიარების მიზნით ღონისძიებათა გატარება; სპეციალური ლიტერატურის გაცნობა-განხილვა და სხვ.

გ) ლოგოპედ-მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება იმ სკოლის მასწავლებლებთან ერთად, რომელთანაც ლოგოპედური პუნქტია გახსნილი.

VI. ლოგოპედური პუნქტის შენობა მოწყობილობა და დაფინანსება

1. ლოგოპედური პუნქტი იქმნება ერთ-ერთ ზოგადსაგანმანათ-ლებლო სკოლასთან და ემსახურება როგორც ამ სკოლის მოსწავ-ლეებს ისე სხვა სკოლების მოსწავლეებსაც, რომლებიც მიმაგრებუ-ლი არიან ამ ლოგოპედურ პუნქტზე.

2. მოსწავლეთა უკეთ მომსახურებისათვის ლოგოპედ-მასწავ-ლებელს უფლება აქვს განათლების განყოფილებასთან შეთანხმებით გახსნას ლოგოპედური პუნქტის ფილიალები.

3. ლოგოპედური პუნქტის ერთი სკოლიდან მეორე სკოლაში გადატანა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სსრ, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ნებართვით.

4. სკოლა, რომელშიც მოთავსებულია ლოგოპედური პუნქტი, ვალდებულია გამოუყოს მას ოთახი არაუმცირეს 20 კვ. მეტრის ფართობისა, რაც უნდა აკმაყოფილებდეს სანიტარულ მოთხოვნებს.

5. ლოგოპედური პუნქტი არსებობს გარკვეულ სკოლასთან და შედის ამ სკოლის კლასების რიცხვში. სკოლის დირექტორს ეკისრება პასუხისმგებლობა როგორც ლოგოპედური კაბინეტის მოწყობაზე, ისე მასში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე.

6. ლოგოპედური პუნქტი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სპე-ციალური მოწყობილობით (იხ. დანართი).

7. ლოგოპედური პუნქტის დაფინანსება ხორციელდება საქარ-თველოს სსრ, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტ-როების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების და რაიონების განათლების განყოფილებების ცენტრალიზებული ფო-ნისძიების ხარჯზე (პუნქტი № 14).

3. გაუქმებულად ჩაითვალოს 1957 წლის დებულება საშუალო სკოლებთან არსებული ლოგოპედური პუნქტების შესახებ.

ფორმა № 1

დ ა ნ ა რ თ ი

მეტყველებაში ნაკლის მქონე მოსწავლეთა სია

(ივსება ლოგოპედის მიერ მოსწავლეთა გამორკვევისას)

ა) გვარი, სახელი

ბ) სკოლა

გ) კლასი

დ) ბინის მისამართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) გამორკვევის თარიღი

ვ) მეტყველების ნაკლი

ზ) წარმატება მშობლიურ ენაში (გამორკვევის მომენტისათვის)

თ) მიღებული ღონისძიებანი (მიღებულია ლოგოპედურ პუნქტში, მიეცა მითითებები მასწავლებელს ან მშობელს და სხვ.).

ფორმა № 2

მეტყველების რუკა

(ივსება თითოეულ მოსწავლეზე ლოგოპედურ პუნქტში მიღების დროს)

ა) ლოგოპედურ პუნქტში მიღების თარიღი

ბ) გვარი, სახელი

გ) წლოვანება, სკოლა, კლასი

დ) რას უჩივის მასწავლებელი ან მშობელი

ე) ექიმ-სპეციალისტის დასკვნა

ვ) მონაცემები მეტყველების განვითარების მიმდინარეობის შესახებ

ზ) სმენის მდგომარეობა

თ) არტიკულაციური მოწყობილობის მდგომარეობა (წყობა, ძვრადობა)

ი) მეტყველების ზოგადი დახასიათება (მეტყველების გარკვეულობა, სიტყვათა მარაგი, გრამატიკული წყობა), მეტყველების მაგალითები

კ) გამოთქმა (მეტყველების უქონლობა, ცალკეული ბგერების დამახინჯება)

ლ) ტიპი და სიმწყობრე

მ) წერა და კითხვა (წარმატება წერასა და კითხვაში ლოგოპედურ პუნქტში ჩარიცხვისას, წერისა და კითხვის მაგალითების გამოყვანა)

ნ) ლოგოპედის დასკვნა

ო) მეტყველების გასწორების შედეგები (აღინიშნება რუკაში მოსწავლის ლოგოპედური პუნქტიდან გამომშვებისას).

ფორმა № 3

ლოგოპედურ პუნქტში მიღებულ მოსწავლეთა სია

ა) გვარი, სახელი

ბ) სკოლა, კლასი

გ) ბინის მისამართი

მიროვნული
ბიბლიოთეკა

დ) ლოგოპედურ პუნქტში ჩარიცხვის თარიღი

ე) წარმატება მშობლიურ ენაში ლოგოპედურ პუნქტში ჩარიცხვისას (ივსება ტაბელის ან მასწავლებლის დახასიათების მიხედვით)

ვ) მეტყველება, წერა და კითხვა ლოგოპედურ პუნქტში ჩარიცხვისას

ზ) ლოგოპედურ პუნქტიდან გამოშვების თარიღი

თ) მეტყველების, წერისა და კითხვის მდგომარეობა ლოგოპედური პუნქტიდან გამოშვების მომენტისათვის.

ლოგოპედის, მასწავლებლის ან მშობლის ხელმოწერა.

ფორმა № 4

დასწრების აღრიცხვის ჟურნალი

ჟურნალის მარცხენა მხარე

ა) № რიგზე
ბ) გვარი, სახელი
გ) სკოლა, კლასი
დ) თვე და რიცხვი

ჟურნალის მარჯვენა მხარე

ა) თარიღი
ბ) მეცადინეობის შინაარსი
გ) საშინაო დავალება
დ) შენიშვნა

ლოგოპედური პუნქტის მოწყობილობის სია

1. კედლის სარკე ლოგოპედური მეცადინეობისათვის	50×100	1 ც
2. მაგიდის სარკე	60×80	1 ც
3. სარკე ინდივიდუალური მუშაობისათვის .	9×12	30 ც
4. ლოგოპედური ზონდები, შტაპელი, სპირტი, ბამბა		
5. პირსაბანი, საპონი, პირსახოცი		1 ც
6. კედლის საათი		1 ც
7. მაგიდის ლამფები		1 ც
8. ხალათები		2 ც
9. საკლასო დაფა		1 ც
10. კარადები		2 ც

11. ლაბორატორიული მაგიდები . . . . . 4 ც
12. საკანცელარიო მაგიდები . . . . . 4 ც
13. სკამები . . . . . 12 ც
14. მაგნიტოფონი . . . . . 1 ც
15. მოძრავი ანბანი . . . . . 10 ც

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. სპეციალური ცხრილები და სურათები (ცალკეულ ბგერებზე) 1 ც.

17. თვალსაჩინო მასალა მეტყველების განვითარებისათვის (საგნობრივ სიუჟეტური, სერიული სურათები და სხვ.).

18. სამაგიდო სათამაშოები (სხვადასხვა ლოტო, კუბიკები, მოზაიკა, სპეციალური ლოტო და სხვ) და სათამაშოები (ავეჯი, ჭურჭელი, ცხოველები, ფრინველები და სხვ.).

19. მშობლიური ენის სახელმძღვანელოები დაწყებითი კლასებისათვის, მეთოდური და სასწავლო მოწყობილობა, საბავშვო ლიტერატურა.

შენიშვნა: კედლის სარკის თავზე უნდა იყოს ელექტროგანათება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

1. დადგენილება განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა საყოველთაო რვაწლიანი განათლების კანონის გატარების საქმეში ზუგდიდის ლანჩხუთის რაიონების და ქ. ქუთაისის განათლების განყოფილებების და პროფკავშირის ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების შესახებ. 3
2. დადგენილება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორების არჩევის შესახებ . . 12
3. ბრძანება № 412—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების მოსწავლე ავიამოდელისტთა XXXIII რესპუბლიკური პირადგუნდური შეჯიბრების ჩატარების შესახებ 17
4. ცირკულარული წერილი 18
5. დადგენილება განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და ბაგა-ბაღებში, აგრეთვე სხვა საბავშვო დაწესებულებებსა და განათლების ორგანოებში საწარმო თათბირების მუშაობის შესახებ 19
6. დადგენილება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქაროველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა ახალი—1964-1965 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების მომზადების შესახებ. 24
7. Приказ № 448—сб утверждении отчета по республиканскому бюджету за 1963 год 30
8. ბრძანება № 463—1963 წლის IV კვარტალში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბიუჯეტო დაწესებულებების მიერ სახელმწიფო სახსრების გამოყენების სისწორის შემოწმების შედეგების შესახებ 33
9. ბრძანება № 469—ბეთანიის სანატორიული სკოლა-ინტერნატის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმების შედეგების შესახებ 38
10. დადგენილება—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება გეგეჭკორის, თეთრი წყაროს და ყვარლის რაიონებში მასწავლებელთა კადრებთან მუშაობის შესახებ 41
11. ბრძანება № 492—სასკოლო და სასკოლათაშორის სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 47
12. ცირკულარული წერილი 53
13. ბრძანება № 516—რესპუბლიკის ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის განათ-

ლების განყოფილებებიდან სტატისტიკური ანგარიშის უხარისხოდ და დაგვიანებით წარმოდგენის შესახებ 5
14. ბრძანება № 518—ქიმიის სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით 1963 წლის 21 დეკემბრის № 1154 და 1964 წლის 19 იანვრის № 26 ბრძანებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ . . . . . .
15. Приказ № 585—о постановке преподавания химии в 54-ой и 55-ой средних школах и в восьмилетней школе продленного дня № 1 гор. Тбилиси . . . . . .
16. დებულება გახანგრძლივებული დღის სკოლის შესახებ . . . . . .
17. დებულება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული ლოგოპედიური პუნქტების შესახებ . . . . . .